

# ბედი ქართლისა



2633  
1952

ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

„LE DESTIN DE LA GÉORGIE“

Recueil Historique, Scientifique et Littéraire Géorgien.

Rédacteur en chef : K. SALIA. 8, rue Berlioz, Paris (16<sup>e</sup>). Tél.: Passy 75-35.

№ 12

მ ა ი ს ი — 1952 — M A I

*Djobad* № 12  
*Library*

ზ ი ნ ა ა რ ს ი :

- პროფ. მის. წერეთელი — აღდგომა
- კ. სალია — ქართველი ერის ბრძოლა 26 მასისათვის. განმარტება საერთო ფრინტის შესახებ
- გრიგოლ რობაქიძე — რა უნდა აგონდებოდეს ქართველს
- გიორგი კერესელიძე — ერთი ისტორიული თარიღის გამო
- არჩილ გომართელი — საქართველო აზია - ამერიკის მიჯნაზე
- მ. მ. თარხნიშვილი — ერთ - ერთი ქართველთა მხედართმთავართაგანი ბიზანტიაში
- მის. წერეთლის სიტყვა წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის ჩამოსვენებისას თბილისში

- გრიგოლ რობაქიძე — საჭირო განმარტება ტიცინ ტაბიძე — გრიგოლ რობაქიძეს
- პროფ. მის. წერეთელი — „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისათვის
- პროფ. შალვა ბერიძე — ესსად ბეი საქართველოში შესახებ
- პროფ. ალექსანდრე ნიკურაძის შეკრებულ შუატებში მოგზაურობის გამო
- ი. გრიშაშვილი — თბილისის მიწა
- ნინო სალია — მარიამ მამულაიშვილის ხსოვნას
- ნ. ჯანელიძე — რას აძლევს საქართველო რუსეთს
- ბიბლიოგრაფია
- ქრონიკა

## ა ლ ზ ო მ ა

ესო ნაზარეველი ჯვარს აცვეს და დაფლეს, მაგრამ იგი აღდგა მკვდრეთით! ღმერთი უკვდავია, როგორც სიძულვილისა და ბოროტისა, ისე სიყვარულისა და კეთილისა, მაგრამ უკანასკნელი, ათასჯერაც ძლეული პირველისაგან და დასამარებელი, მაინც დგება მკვდრეთით და დამარცხებული ყოველივეს სული ბოროტისა რჩება, ვინაიდან სიყვარული არის თვით აზრი ცხოვრებისა და ცხოვრებას სული ბოროტი სიკვდილისა ვერ ერევა.

იესოს მსაჯულებს და მკვლელებს ეკონათ, რომ მოჰკლეს იგი და დასამარხეს საუკუნო დაღ-

წყებად, მაგრამ მესამე დღესვე გაიხსნა ხმა: აღდგა უფალი! ცხოვრებამ იქნა მათგან დაღმართის უკვდავება და ხმა ესე იქცა სიხარულის მინიჭებულ რწმენად უამრავი რიცხვისათვის ადამიანთა და ერთა: — ქრისტე აღდგა! — შეშმაოიჭად! 1952 წლის განმავლობაში ეგებება ამ გიხაროდენით ქრისტეს მოსავი კაცობრიობა სიყვარულისა და ცხოვრების ღმერთის აღდგომის დღესასწაულს.

ვინება უფლისა და აღდგომა მისი გაზაფხულზედ მოხდა. და გაზაფხულზედ იყო ხოლმე დღესასწაული წარმართთა აგრეთვე ცხოვრების,

სიცოცხლის ღვთაებათა ზამთრის ძილისაგან გამოღვიძებისა, ბუნების მკვედრებით აღდგომისა. აღდგომა ბუნების ღმერთთა და აღდგომა ერთის ჭეშმარიტის ღმერთისა ურთი-ერთს შეეხება ერთა რწმენაში და იქცა აღდგომად ერთის დიდის ღმერთისა, რომელიც ყოველივეს შეიცავს. მით უფრო მეტი სიხარულით ეგებება აღამიანი ამ დიდ დღეს აღდგომისა, სიცოცხლის განახლებისა და აღორძინების ჟამს. — ქრისტე აღდგა! გიხაროდენ! — ეს გაზაფხულის გალობაც არის.

ჯვარს აცეცეს უფალი, დაფლეს, მაგრამ სიტყვა მისი იყო: სიტვა ღვთისა, კაცისათვის უმალღესი იდეალი, მიუხეცველი და ამიტომ საუკუნო და დაუთრუგუნველი, მიმნიჭებელი ცხოვრებისათვის აზრისა. და სიტყვას ღვთისას სიყვარულისა, მიუწოდებელი იდეალისა, სიტყვას საუკუნო ცხოვრებისა ვერ მოჰკლავდა სიტყვა შურის-ძიების ღმერთისა. ფარისეველი დამარცხდა, ქრისტე აღდგა და კვლავ მოველინა მოწაფეთ, რომელთაც განაქრცეს მთელს ქვეყანაზედ მცნება მისი, უმალღესი ყოველთა მცნებათა, უკვდავი, ვინაითგან აზრი, იდეალი ცხოვრებისა არ არსებობს სხვა, თვინიერ იესოსაგან მოცემულისა. და იგი იქმნება უკუნითი უკუნისამდე.

იესო ხორციით ივენო, ვითარცა კაცი, მან სიცოცხლე მსხვერპლად შესწირა ღვთაებრივ იდეას, იდეალს, გვაჩვენა თვით აზრი ცხოვრებისა. ეს მაგალითი მისი ღვთაებრივი ცხოვრებისა დარჩება კაცობრიობის მესსიერებაში. საუკუნეთა აღსასრულამდე. კაცისათვის ცხოვრების აზრის მიმნიჭებელი ჯვარცმულის საფლავში საუკუნო განსვენება შეუძლებელია და ამიტომ

მაც ვიტყვით და გეწამს: ქრისტე აღდგა მკვდრეთით სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი!.. და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი!... მისთვის, ვის იფლავს იყო ღვთაებრივი მადლი იფლისა და ვინც ხელმძღვანელობდა მისი ცხოვრების მსგალობით.

ქრისტეს მტერი, სული ბოროტი განაგრძობს ბრძოლას და ათასი სახით და საჭურველით ეგლინება კაცს, რომ მის გულში მოჰკლას სახსენებელი ქრისტესი და სიტყვა მისი. ხშირად იფლის სახელითაც ებრძვის უფალს. ხშირად მის მცნებას ითვისებს და ამით ატყუებს უგუნურ კაცს. მაგრამ ქრისტე მუდამ ძლიერა-მოსილი რჩება. განივლის ხოლმე ჟოჯოხეთითგან მოვლენილი სიბნელისა, გაკუდლებთან მანქანებანი ბოროტისა და კვლავ გაისმის ხმა იმედისა და სიხარულისა: ქრისტე აღდგა.

საქართველოში დღეს ქრისტეს სახელი დენილია. აღდგომას ვერ იღვესაწაულებს ერი. მაგრამ აღდგომის დღის მოსვლის დაბრკოლება ხომ არავის ძალუძს. იგი მოვიდა და კვირას გაზაფხულის მზე სულ სხვანაირად, აღდგომის ბრწყინვალეობით ითამაშებს ცაზედ, როგორც ესა სწამს ქართველს, და ერი ტანჯული გულის სიღრმითგან უფრო დიდი სიძლიერითა და სიხარულით აღმოიხატება: ქრისტე აღდგა! და ჩვენც მოვირთვან გამოვეხმაუროთ წამებულ სამშობლოს: ჭეშმარიტად! და ერთგვან დიდი იმედი ჩვენი: როგორც ქრისტეს აღდგომა ვერ დააბრკოლა ჯოჯოხეთის ძალამ, ისე სამართლის აღდგომას ვერ დააბრკოლებს მიმძღვრება ვერსად და ვეროდეს და ბოლოს საქართველოც აღდგება.

ჭეშმარიტად! **მ. წერეთელი**

**ქართველი ერის ბრძოლა ოცდამეხუთე მარტისთვის**

26 მაისი, გუშინ ეს ბრწყინვალე სინამდვილე დღეს მოგონებად გარდაქცეული, თავისი ჯადოსნური ძალით გვხიბლავს და გვიბყრობს.

მისი სინათლის შუქი საუკუნოების სიბნელეს არღვევს... და ჩვენ წინაშე დგება მრავალ-ტანჯული საქართველო მისი დიდი ისტორიით, რომელიც უამრავ იმართა სისხლითა დაწერილი.

მწარე ხვედრი არგუნა ბედმა ჩვენ ქვეყანას. ხშირად უგრძენია მას სიკვდილის ქოლგა უფროსკულის თავზე, ხშირად შეხებია მას ღუმობელი ჟამი და მის არსებობას გაქრობით დამუქრე-

ბია, მაგრამ მისი უკვდავი სული, უხსოვარი დროიდან მომდინარე ყოველი განსაცდელის დროს განახლებული ენერჯითი ამხედრებულა და სამშობლო სიკვდილისაგან გადაურჩენია.

დაიმსხვრენ, დაიღვეწენ და აღიგავენ დედა-მთის პირიდან ვეებერთელა იმპერიები, ხოლო ეს ერთი მღჰა ხალხი დღესაც ცოცხალია.

დიდა და საამაყო სულიერი სიმდიდრე ჩვენი ერისა. უთვალავნი არიან საქმენი სამეირონი, გადმოცემულნი წინაპართაგან, რომელთათვის ბრძოლა ლხინი იყო და სამშობლოსათვის თა-



ვისდადება — წმიდა ანდერძი მსამა - პაპათა.  
 ამ სიმდიდრით უდგია სული ქართველ ერს,  
 მით გაუკაფავს მას გზა უძნელეს ქაოსში ის-  
 ტორიისა, რომელშიც არა ერთი ერთი დაღუპუ-  
 ლა. ეს სულიერი სიმდიდრეა დღესაც ჩვენი მო-  
 მავლის იმედი.

საქართველო ეროვნულად უკვე დაზიანებული ჩაუვარდა რუსეთს 1801 წელს. მიუხედავად ამისა, მან უდიდესი წინააღმდეგობა გაუწია შემოსეულ მტერს. 116 წლის განმავლობაში რუსეთი ებრძოდა საქართველოს ეროვნულ არსებობას, სცდილობდა მის გადაგვარებას, გარუსებას; მას სურდა ამით ქართველი ერისათვის მოესპო სურვილი საკუთარი სახელმწიფოს აღდგენისა და ამ მიზნის მისახწევად ყოველნაირ საშუალებას ხმარობდა. მან იცოდა, რომ ქართველი ერის სიძლიერე მისი წარსული იყო, საიდანაც მოსჩქეფდა უმრეტი წყარო ქართული მხნეობისა. ამიტომ დაუწყა დევნა ქართულ იენას, ქართულ კულტურას, ქართულ ეკლესიას, შეეხა საქართველოს ეროვნული ორგანიზმის ყოველ უჯრედს და თავისი შხამი ყოველ მათგანს ჩააწვეთა.

საქართველო კი იბრძოდა თავისი ეროვნული არსებობისათვის, ეროვნული „მეს“ შენარჩუნებისათვის ყოველ ნიადაგზედ, რომელზედაც მას რუსეთი შეებრძოლა. ხმაღს ხმლით უპასუხა. მთელი 30 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა ომისა და აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული. რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების შემოსევას საკუთარი ლიტერატურა და ხელოვნება დაუპირდაპირა; რუსულ სკოლებს — ქართული სკოლები და „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებით“ უპასუხა; რუსულ იკონომიკას — ქართული ბანკებით და მეთურნობით; რუსულ საყდარსა და სინოდს — ქართული ეკლესიებითა და მისი იემირებით.

ამ ბრძოლაში რუსეთი დამარცხდა. ქართველმა ერმა შეინახა მისი ეროვნული სახე უამრავი მსხვერპლის გაღებით, თავისი მიწა-წყლის ყოველი მტკაველის საკუთარი სისხლით მორწყვით.

სამღვდელოებამ, მწერლებმა, ხელოვანებმა, მსახიობებმა, პოლიტიკოსებმა, დიდი ტანჯვითა და ღვაწლით დაიცვეს ასი წლის განმავლობაში ჩვენი ეროვნული კულტურა და — ვით გამწაჩრებულმა დედამ თავისი სწეტული შვილი — იგი საკუთარი კალთით ატარეს, რათა შეენახათ ჩვე-

ნი ერისათვის მისი ეროვნული პიროვნება, რომ ერთ დღეს მას შესძლებოდა კვლავ საკუთარი სახელმწიფოს აღდგენა.

ერთი საუკუნის განმავლობაში ყოველ-დღიური ბრძოლით ქართველი ერთი ნიადაგს უმზადებდა დამოუკიდებლობის დაბრუნებას და როდესაც ხელსაყრელი მომენტი დადგა, იგი კიდევაც განახორციელა. ეროვნულმა შეგნებამ სძლია ყოველგვარი დაბრკოლებანი. იგი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვინემ ზოგიერთებს ეგონათ.

ნურავინ ფიქრობს, რომ იმისეს, ან რომელიმე პოლიტიკურ წრეს, ვინც იმ უამად დამოუკიდებლობისათვის არ იბრძოდა, შეეძლო არ დამორჩილებოდა ქართველი ერის მარადიულ იდეალს, მის ბრძანებას და მის იყარდაუვალ ნებისყოფას.

ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ შეგნდა ქართველი ერთი 1918 წელს 26 მისსს. უდიდესი სიხარულით და უსაზღვრო აღფრთოვანებით ეგებებოდა მთელი ხალხი თვის სუვერენობის გამოცხადებას.

ეს იყო დაგვირგვინება და შედეგი ქართველი ერის თავგანწირული და შეუწყვეტელი საუკუნოვანი ბრძოლისა რუსეთის ბატონობის გადასავლებად.

ეს არის ისტორიული სინამდვილე და მისი უარყოფა არავის არ შეუძლია.

განსაკუთრებით დღეს უნდა მოვიგონოთ და დავიცვათ ეს ისტორიული სინამდვილე, რათგან არა მხოლოდ ბოლშევიკური რუსეთი, არამედ რუსი იმიგრანტებიც იჩინებენ ჩვენი უფლებების წინააღმდეგ საბრძოლველად.

აქ უნდა გამოიჩინოს საქართველოს ემიგრაციამ მისი მალალი ეროვნული შეგნება, რომელიც მას მუდამ ახასიათებდა გასაჭირის დროს. ყოველგვარი შინაური უთანხმოების დავიწყებით, მთლიანი ფრონტით, უნდა გამოვიდეს იგი ჩვენი ერის სუვერენულ უფლებათა დასაცავად.

ჩვენ უკვე გავაცანით მკითხველს ჩვენი აზრი, „ბ. ქ.“-ის წინა ნომერში თერთი გიორგის განცხადებით, თუ როგორ გვესმის ამ უფლებების დაცვა. მას შემდეგ ბევრი შეკითხვა მივიღეთ. საპასუხით აქ ვათავსებთ შემდეგ განმარტებას:

1) ვისბადენის შეხვედრის მომხრე ჩვენ არ ვყოფილვართ და არც ამისი პასუხისმგებლობა გვიკისრია, ხოლო უნდა აღვიაროთ, რომ ამ შეხვედრის დროს საქართველოს უფლებები არ ვყოფილა დათმობილი. საერთო თათბირი რუ-

სებთან ერთად დაწყებისათვისაც ჩაიშალა რამოდენიმე წუთში\*).

2) „ამერიკული კომიტეტი“, რომლის მიერ იყო მოწვეული ვისბადენის კონფერენცია, კვლავ განაგრძობს ცდას რუსებთან ერთად საერთო ანტიკომუნისტური ფრონტის შექმნისა. ჩვენ კარგად გვესმის ამ კომიტეტის მიზანი: გამოყენებულ იქმნას ყველა ძალები ბოლშევიკური რეჟიმის დასამხობად. მაგრამ მას უნდა ესმოდეს აგრეთვე ჩვენი და ჩვენს ზედში მყოფ ერთა მიზანიც, რომელთაც სურსთ არა მარტო რეჟიმის წაქცევა, არამედ დაკარგული სუვერენობის აღდგენა. რეჟიმის წაქცევა არ მოასწავებს უშუალოდ დამოუკიდებლობის აღდგენას. ამიტომ, ვინც ცდილობს ეროვნული ბრძოლის მხოლოდ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლათ გარდაქცევას, მიუტევებელ დანაშაულს ჩადის თვისი ერის წინაშე, უკარგავს რა ამით სამეფო დროს ყოველგვარ მნიშვნელობას თვით ემიგრაციის არსებობას.

3) წარსული ომის დროს, ომის წარმოების ინტერესით იძულებული, გერმანიაც შეეცადა საერთო ენა გამოენახა რუსებსა და დაპყრობილ ერთა შორის. მაგრამ გერმანიისთან მომუშავე ქართველობამ ერთხმად უარპყო რუსი გენერლის კლასიკის წინადადება თანამშრომლობისა. რუსები არც მათ სცნობდნენ ერთა უფლებებს. გერმანიამ ეს გაიგო და არავითარი ძალდატანება არ მოუხდენია. რუსები მუშაობდნენ ცალკე, სხვა ერები ცალკე.

4) როგორც ჩვენ უკვე არა ერთხელ განვაცხადეთ, უკეთეს ამერიკის აუცილებელი სურვილია რუსების შემოყვანაც საერთო ფრონტში, ეს შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ დაჩაგრული ერების სუვერენული უფლებების სრული დაცვით და არა მათი ბედ-იბლის რაღაც ბუნდოვან ფორმულებში გახვევით რუსების დასაკმაყოფილებლად. უდავოდ უნდა იქმნას ცნობილი ჩვენი მუშაობების უფლებებიც. ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებიც.

5) რაც შეეხება კერძოდ საქართველოს, ჩვენ ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს მოვავნოთ ამერიკულ კომიტეტს, რომ მისი საერთაშორისო უფ-

ლებრივი მდგომარეობა სრულიად ნათელია და ჩვენ არ შეგვიძლია დაუშვათ ოდნავ შელახვაც ამ უფლებათა. ჩვენ ვიცით, რომ ამერიკა სცნობს ბალტიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას, ისინი სხვა ორგანიზაციაში შედიან და არა ამერ. კომიტეტის მიერ განზრახულ ფრონტში. მაგრამ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაც ხომ იგივეა, როგორც ესტონისა, ლატვიისა და ლიტუნიისა. ის გარემოება, თუ რომელი ქვეყანა როდის იქმნა დაპყრობილი საბჭოთა რუსეთის მიერ და რამდენ ხანს გრძელდება მისი ოკუპაცია, ამ ქვეყნის უფლებრივი მდგომარეობას არ ცვლის. ჩვენი მოვალეობაა მოვითხოვოთ ამერიკისაგან და სხვა სახელმწიფოთაგან ცნობა ჩვენ უფლებათა, რომელნიც იგივენი არიან, როგორიც ბალტიის სახელმწიფოთა, ცნობილი ამერიკისა და მის მოკავშირეთა მიერ.

6) საერთო ფრონტში უნდა შედიოდნენ ყველა ერები თანასწორი უფლებით. არც ერთს არ უნდა ჰქონდეს რაიმე უპირატესობა მისი მოსახლეობის რიცხვის მიხედვით; ხუთი რუსული ორგანიზაციისათვის ხუთი წარმომადგენლის უფლებიკ მიცემა და სხვა ერებისათვის, მათ შორის უკრაინისათვისაც, რომლის მოსახლეობა ორმოც მილიონს აღემატება, თითო-თითოსი, როგორც ეს „ამერიკ. კომიტეტს“ სურს, რუსებისათვის წინასწარი უპირატესობისა და პირველი როლის მინიჭებას ნიშნავს, რაც ჩვენთვის მიუღებელია და დაუშვებელი. O. N. U.-ში შეყვართებულ შტატებსაც ერთი წარმომადგენელი ჰყავს და კოსტა-რიკასაც ერთი.

7) რუსული პრესა, თვით ვისბადენში მონაწილე რუსთა ჟურნალ-გაზეთები გამშავებულ კამპანიას ეწევიან მოსკოვის მიერ დაპყრობილ ერთა უფლებების წინააღმდეგ და სცდილობდნენ დაარწმუნონ დაინტერესებული წრეები, რომ ამ ერთა საკითხი რუსეთის შინაური საკითხია. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რა დიდი მუშაობის გაწევაა საჭირო ჩვენ კანონიერ მოთხოვნებთან დასაცავად. აქ კი მოვავანებთ ვაკანდიერებულ რუსებს, რომ მათ მძიმე პასუხისმგებლობა აწევსთ კისერზე კაცობრიობისა და ცივილიზაციის წინაშე. ბოლოში რუსეთში დაიბადა და იქ გაიზარდა, მან ვერ იხვირა ვერც დამარცხებულ გერმანიისა და ვერც სხვაგან და მხოლოდ რუსული ხიზტებით ვრცელდება იგი. ჩვენი ქვეყანა არ დაუპყრია მსარქსის ინტერნაციონალურ ჯარს. 25 თებერვალს, 1921 წელს,

\* ) ეს მოხდა უმთავრესად ქართველი დელეგატის ბ. დ. სხირტლადის ჩარევით. მეორე ქართველი დელეგატი ბ. ნ. ცინცაძე სხდომას თავმჯდომარეობდა.

### რა უნდა აზონდებოდეს ქართველს

ქართველი თავმოწონეს. აქვს კიდევ უფლებ-  
 ბა თავმოწონებისათვის. ინა ქართველთა უგენისა-  
 ლესი ქმნილებაა ინათა შორის. მისი ფესვეფუ-  
 ლი დენა აცნაურებს უთვალავ საიდუმლოთ  
 მსოფლიოისა. მთასახულია მასშივე მთავარი  
 ხვეფული პლატონის უნივერსალური მსოფლ-  
 ხედვის. საკვირველი არაა, თუ მითიური ხილ-  
 ვაც ქართველთა უაღრესად მხვედროა: „იღრმის  
 ნახტომს“ ვერ ვაძეგლებთ: „დიდი დავი“,  
 „ოქროს ვერძს“ „ოქროს მატყლი“, „დალს“  
 „არტემის“ თუ „დიანა“, „ამირანს“ „პრომეთე“.  
 გასაოცარია და საცნაური აგრეთვე ქართველთა  
 „გვარი ვაზისა“: ასეთი ღრმა სიმბოლო რეა-  
 ლური მთელს საქრისტენაოში არ მოიპოვება.  
 ესა ხელმწიფება ქართველთა მიერ დგინებულ-  
 ლი. ვერ მარტო სახელდება რად ღირს: „ხე-  
 ლი მწიფე“! ერთს სიტყვაში მთელი კონცეპ-  
 ცია გამოკვეთილი საქრალური მართვისა. ამა-  
 სთანავე: ეს კონცეპტი არ დარჩენილა ქართვე-  
 ლობაში „თეორიად“ მხოლოდ: იგი „სა-ქმეც“  
 იყო. დასტურისათვის ორი სახელი: დავით აღ-  
 მაშენებელი და მეფე თამარ. აღმაშენებლის  
 სახელს ისეთი განდიდება ხედა წილად, რაც  
 თვით ფრიდრიხ შეორესაც არ რგუნებია, (არა  
 ფრიდრიხ დიდს, პრუსიელს, არამედ პოპენშტა-  
 უფენს, რომელიც პირველზე უფრო დიდია):  
 დასაგლეითში ლეგენდარულ ნაგულვებს, სად-  
 ლაც აღმოსავლეთში, პრესბიტერი იოანე,  
 მღვდელმთავარი და მეფე ერთად, დავით აღმა-

შენებელი იგონათ. მოვთვალოთ კიდევ სხვა  
 რაამ? არაა საჭირო, ჩამოთვლილიც კმარა. გა-  
 ვისხენოთ მხოლოდ ერთი რამ აღნიშნულის მო-  
 საგვირგინებლად, სახელდობ „Larouss“-ის  
 სიტყვა ქართველებზე: „La plus belle race hu-  
 maine qui soit au monde“.

დიალ, ქართველს აქვს უფლება თავმოწონე-  
 ბისათვის. ეს მოწონება არაა ის, რასაც რუსუ-  
 ლი „ტშესლავი“ ჰგულისხმობს, ან და გერმა-  
 ნული „Eitelkeit“ ფილოსოფოსმა ჰერმან  
 კაიხერლინგმა, რომელიც მეორე მსოფლიო  
 ომის ბოლოს ვარდაიცვალა, სწორუბოვრად გა-  
 ნმარტა ერთხელ, თუ რა „ატიუკატი“: ესაა  
 შიში არმოწონებისა. ქართველს ბევრნაირი  
 შიში აწუხებს, ხოლო არა ეს: მას კიდევ გაუკ-  
 ვირდება სხვას არ მოეწონოს. თავმოწონე ქა-  
 რთველი „თავგამოჩენის“ ჟინითაა აყვანილი.  
 ხოლო ეს „თავისჩენა“, თუ ძირითადად ეწვე-  
 ბით ამას, სხვის წინაშე კი არ „ჩინდება“, რომ  
 დაჩრდილოს იგი. ქართველის „შენ“, ვმარობ  
 ნამდვილ ფორმას ამ სიტყვისა, იფინება იმდე-  
 ნად, რამდენად იგი „შენ“-ში სხვისნდება. ფე-  
 სვი ქართველის თავმოწონებისა აქ იმალება.  
 სხვისნდება იგი ამრიგად — იწონებს იგი თავს.  
 „გაახარე-გაიხარე“: აი მთავარი ხტლი ქარ-  
 თული ბუნებისა. „ხარება“ „ხრდას“ ნიშნავს.  
 აი კიდევ ერთი გენიალური ელვარი ქართული  
 ენისა. იტყვიტ ხომ ქართველი: მცენარე „ხა-  
 რობს“, ვგულისხმობთ: „იხრდება“. „გაახარე-  
 გაიხარე“: ეს მტყველებს: შეუწყვე ხელი სხვის  
 „ხრდას“, რათა ამით თვითონ „იხრდებოდე“:  
 აქეთგან ერთი მოვლენა: არც ერთს შეილოს რო-  
 მელიმე სხვა ერისა არ ძალუძს ისეთი სისრულ-  
 ლით იყვეს „ერთგული“, თავდადებული მე-  
 ორესათვის, სხვისათვის, როგორც ქართველს.  
 უკანასკნელი მსახურია მოყვასისა, „მსახური“,  
 ამ სიტყვის უკეთესობილესი მნიშვნელობით.  
 აქ საჭიროა ოდნავ გადავუხვიო. რომელიმე  
 ქართველი თავადი ძველად, მოხდენილად ტან-  
 ჩაცმული, დატრეცილ ჩოხას ატარებდა. იყო ეს,  
 ფრანგულად რომ ვთქვათ, „chic“ თავისებური  
 ხაზგასმა მოკანსმულობისა? პირველი შეხედ-  
 ვით: კი, თუ ჩავუკვირდებთ: არა. აქა ერთი  
 მგალითი. ზემო იმერეთში, იქ, საცა სოფელი  
 ლეანკითი თავდება და იწყება მეორე, ბინადრო-  
 ბდა, მსმენია ეს ბავშობაში, თავადი ლენტორ

ჩვენი დედა-ქალაქის ქლებს რუსის ჩექმა ქე-  
 ლადა ისე, როგორც ასორმოცდაათი წლის წი-  
 ნათ.

8) ჩვენ ვეჭვობთ, რომ „ამერიკული კომი-  
 ტეტი“ ბოლოს და ბოლოს დარწმუნდება, რომ  
 წითელ თუ თეთრ რუსებს ერთნაირი იმპერია-  
 ლისტური მიზნები აქვთ და მათ შორის ამ მხრივ  
 არავითარი განსხვავება არ არის.

9) იმედი გვაქვს, რომ ის ქვეყანა, რომლის  
 უმადლესი პრინციპია პიროვნებისა და ერთა თა-  
 ვისუფლება და შემქნელია ატლანტიის ქარტი-  
 ისა, ვადეებს რუსეთის მიერ დაჩაგრულ ერ-  
 თა წადილს და უყურადღებოდ არ დასტოვებს  
 მათ.

კ. სალია

წულუკიძე. (მისი დადანიტიორ იყო მსუღღლე უკანასკნელი ბაგრატიონ - იმერისა; ვამბობ „უკანასკნელი“; რადგან ვაჟმა მისმა ხელი აიღო ბაგრატიონობაზე, კიდევ მეტი: უღალატა მას.) ეს ლენტორი თურმე დიდად გონიერი კაცი ყოფილიყო და თანაც მისნური-ნათელი. მისი სასახლე ვალიებით ყოფილიყო ავისილი, საითვა-ნაც იგი უთვალავ ჩიტების უფილს უსმენდაო ჟამყოველ. და აი: იგიც შეძინილ ტანსაცმელს ატარებდაო, ამბობდენ. ეხლს ვიკითხოთ: სად ეს ღვთისნიერი კაცი და სად „chic“? არა, აქ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. მივმართოთ ჩრდილოკავკასიელებს: ისინი ჩვენ, ქართველებს, რამოდენიმე გვენათესავეებიან ხასიათით. ჩერქეზთა მთავარი, ცნობილია, ლარიბათ იყვენ ჩაცმულნი: ლარიბათ, რადგან არა გაანდათ არა; არა გაანდათ არა, რადგან ყველაფერს ასაჩუქრებდენ, რასაც კი შოულობდენ. ვერ იმეტებდენ მხოლოდ: ცხენს, საჭურველს და სამ ერთეულ ყმას. ვხედავთ, რომ ეს მთავარი „მსახური“ ყოფილან მათი ტომისა. შეცრეცილი ჩოხა, რომელსაც იესა თუ ის თავადი ატარებდა საქართველოში; დანაშთენ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ძველად მყარებული თავადური „მსახურობისა“. ამას ამოწმებს ერთი გულხშიერი ფაქტი. გურიელთა სასახლეში, ყოველ წელს, იანვრის იორს, დიდი ნადიმი იმართებოდა ხოლმე. მოწვეულნი იყვენ გლეხები სხვადასხვა კუთხითგან გურიისა. ნადიმზე გლეხები იყვენ თავადები და გურიელები გლეხები: „მსახურნი“.

ასეთია ნიშანწყალი ქართული ხასიათისა. ხოლო მას ერთი რამ ახლავს თან, რასაც ქართველი არ უნდა ივიწყებდეს.

ყოფა არის არა მხოლოდ „ნიჭი“ ღვთიური: იგი „საქმეცაა“. თუ ამ „საქმეს“ მართებულად ვერ ასრულებ, გავიფუტდება თვითონ „ნიჭიც“. აქ მარხია „საფრხე“ ყოველგვარი „თვისებისა“. გენია მაგალითად ცეცხლისა. თუ ცეცხლს მასალა არ მიეცე, იგი, არაბთა სიტყვით, თავის თავს შესჭამს: დაიფრფლებს. გენია ეითარცა „თვისება“, რასაკვირველია, ფერფლი არაა; ხოლო დაფერფლება მოელის მას როგორც „საფხრე“, თუ მოვლა მოაკლდა.

ქართველი „სხვაში“ ჰლამობს თავისს ასხივოსნებას; იქეთგან ასხივოსნებელი, იფინება იგი თავის წინაშე თავმოწონებით. ხოლო: თუ „შენ“ ვერ გადაეხსნა „შენს“ ჯეროვნად, მაშინ „შენ“ უკუიქცევა დაბნედილი, იკუმშება შინაგან, ხდება ჩათხრობილი. ამით ირღვევა სასუ-

რველი ურთიერთ - მიმოქცევა „შენ“ - „შენისა“. ეს დარღვევა ქართველთა შორის ხშირი ამბავია, ამბავი საბედისწერი. ამას ხელს უწყობს „შენის“ მხრით დაუდევრობა, „შენის მხრით სიფიცხე — როგორც მზის შეიღნი, ჩვენ, ქართველნი, დაუდევარნიცა ვართ და ფიცხელნიც. განსაკუთრებით გვენებს ხოლმე სიფიცხე. შევიდჯერ შეუტია თიმურ - ლენგმა ტფილისს, მოგვითხრობს „ცხოვრება ქართლისადა“; ვერ აიღო; შემდგომ, გაიგო რა, რომ ქართველნი პირველ შეტაკებაშივე ჰლევენ თავიანთ „ცეცხლს“ ანუ ძალას, მიმართა მან ნაცად ხერხს მონღოლთა: ქანცილეულ ქართველებს განზე მომსარებელი რაზმი მიუსია; დამცველნი იატყუდენ, ტფილისი დაეცა. (ეს ამბავი მხოლოდ ვაკრვით.) „შენ“ - „შენის“ ურთიერთ - მიმოქცევის დაზიანებისას, იყო თქმული, „შენ“ იკუმშება შინაგან, ჩათხრობილი ხდება. თუ ამას ოდენი წყენაც მიემატა „შენის“ მხრივ, მაშინ „შენ“ — ქართველი „თავისთავადი“, გლხიც კი — ვანზე ღვება, ცხარდება, თავებად იქცევა. „თავებობა“ კი ფესვია: განკერძობის, განაპირების, გათიშვის, ბოლოს და ბოლოს: განდგომის. რამდენი „განდგომილი“ იცის საქართველოს თავგადასავალში?!

აქეთგან ვასაგები ხდება ჩვენთვის ძველის - ძველი ცნობა, დავით აღმაშენებლის დროის ერთი. მემატანეს მიერ მოყვანილი: მოდგმა ქართველთა თავითგანვე „ორგულითა თვისთა უფალთა მიმართო“. საკმარისია აქ „მოდგმის“ მავერ „შენ“ დასვა და „უფალთა მავერი“ „შენ“, დასვა შემოთ მოხაზული ფორმულით, რომ ელოვისებურ ნათელ ექმნეს საშინელი ცნობა ხსენებელი მემატანესი. დიდა, საქართველოს სამეფოს შინაგანი რღვევის სათავე სწორეთ აქ უნდა ვეძიოთ. ქართველთა მეთაურთ, ორიოდვე გამოკლებით, რომ შეგნებელი ჰქონდათ ქართული ხასიათის სიაყვარე, მაშინ, ღრმად დარწმუნებული ვარ ამაში, მაშინ ვერც თურქი შელახვდა საქართველოს, ვერ სპარსი, ვერც ხორხხმელი, ვერც სელჯუკი, ვერც მონღოლი, ვერც რუსი, ვერცა სხვა რომელიმე დამთიელი. ვინმე მკლევარი, ვამბობ წინაგზნებით, დადასტურებს ამ რწმენას ოდესმე.

ეს საფრხე ქართველთა ჩემ მიერ მოგონილი არაა. იგი შკავიოდ არის გაანხრებული ერთს ქართულ ვარხანტში ამირანის ანუ პრომეთის მითოსისა. ამირანი მიჯაჭვულია კავკასიის ერთს ნაპრალებზე. არწივი ნღველს უკორტნის მას.



ორი ძალი, თეთრი და შავი, ჯაჭვს ლოკავენ. ვნების კვირის სუთმობათს, ალიონზე, ეს ჯაჭვი ისეა დასრუცილი, რომ ამირანს ძალუძს აიწყვიტოს. ამ დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მჭედლები სიმბოლურ ჯაჭვს სჭედვენ: თუ ამირანმა აიწყვიტა, ახალი ჯაჭვი მზად გვექნებაო, ამბობენ. ეს ვარიანტი საოცარი და თანაც საცნაური. საოცარი, რადგან მითოსი აქ კულტურ ქმედებაში გადადის: ჩვენი ეპოქის ბოლო დრომდე მჭედლები საქართველოში მართლაც სჭედდნენ ასეთს ჯაჭვს; საცნაური, რადგან საკვირველი: პრომეთეს, რომელმაც ცეცხლი მოუპოვა კაცობრიობას, ქართველი ახალი ჯაჭვით უგრძელებს მიჯაჭვულობას? საკვირველება ადვილად ასახსნელია. პრომეთემ, მართალია, ცეცხლის მოპოვებით გააბედნიერა კაცობრიობა; ხოლო მას შინაგან კი არ მოუპოვებია ცეცხლი ზორვის ანუ მსხვერპლის ფხით, როგორც ინდუსთა „ათავრანს“: იგი მან ძალმომრეობით მოიტაცა. პრომეთე „თავნება“ ეხლა მითხარით: რომელი ხვევული პრომეთეს მითოსის შეედრება მის ქართულ ვარიანტს? ვერც იქნა. ქართველთა გენია სწვდა უკანასკნელ სიღრმეს ამ მითოსისა, რადგან მან მასში თავისი საფრხე დაინახა: „თავნება“. ამას იქნა დეტალიც ცხადყოფს. ევროპიელნი მკვლევარნი თავს იმტყრევენ ახსნისათვის იმისა, თუ რატომ უკორტნის არწივი პრომეთეს მინცა და მინც ლეიძლსა. ქართველთა გენია, გენია მათი ენისა, ამასაც ხსნის. ყოველ ორგანოს ადამიანისა „ესი-ტყევა“ რომელიმე პსიქიური მოვლენა: მაგალითად „ნაღველს“ „ნაღვლიანობა“. „ლეიძლი“ ორგანოს „სიფხიზოლესი“. თუ ლეიძლი დაგიზიანდა, ცნობილია ეს, უძილობა გემართება. ეს იქნა. ეხლა მეორე: ყოველი „თავნება“ „მენ“-პიროვნება: მას მარტო თავის თავი ახსოვს; იგი ყოველთვის მზადაა როგორც თავდასხმისათვის ისე თავდაცვისათვის; ამრიგად: იგი „ფხიზელია“ მუდამ. პრომეთე, ვითარცა „თავნება“, „ფხიზელია“, მამასადამე. ეხლა ჩაუკვირდით: ღმერთები სჯიან მას სწორეთ სიფხიზლის პიპერტროფიით. არწივი, მზის ფრინველი, გამუდმებით უკორტნის მიჯაჭვულს ლეიძლსა; ლეიძლი დაზიანებული უძილო ხდება და: იტანჯება. (მართალია, „უძილო“ იყო „პაურა - მზდაც, აგრეთვე მიტრაც, ირანის გადმოცემით, ხოლო მათ თავიანთი „მენ“-პიროვნება ზესთაპიროვნულში ჰქონდათ გარდაქმნილი, რაიცა „თავნება“ პრომეთეზე ვერ ითქმის.) ეხლა გავიხსენ-

ნით „ლეიძლი“ - „ლეიძილი“. ეს გენიალური ტყუბი ქართული ენისა ერთი მოჭრით ხსნის საიდუმლოს.

ვხედავთ: რაც შეგნებული არ ჰქონიათ მეთაურთ ქართველთა — ვიმეორებ: ორიოდე გამოკლებით — იგი მითითურად ყოფილა ცნული კარლუს გენიის მიერ.

ამრიგად: ქართველის საფრხე **პრომეთელი თავნებობაა**. ხაზს ვუსვამ ხელმეორედ: „საფრხე“ და არა „თვიცება“. (ამ სტრიქონების დამწერი მრავალჯერ წამოგებულს ამ საფრხეზე.) ქართველი ხდება „თავნება“, როცა იგი ვერ პპოულობს სხვაში გამომხაურს: ასხივოსნებას. იგი ხდება ურჩი და უდრეკი. მას ვერც მოხრი და ვერც გასტეხ. ხოლო საკმარისია „შე-ასახელი“ იგი, რომ ეს ურჩი და უდრეკი მყისვე მოღბეს და იტყეს თვინიერ. ეტყვი მას მზიური გულგადაშლით: „შენს მეტი ამას აბა ეინ შეასრულებს!“: და იგი, წაქეზებით ახალისებულ, თავს გასწირავს, ოღონდ კი შეასრულოს დაკისრებული. აქ იმალება „შესახელება“. სადაა „სახელი“, თუ შესრულებული ბრძანების შედეგია? **ბრძანებით საქართველოში ვერაფერს მიღწევ — ხოლო შესახელებით ყველაფერს**. ეს უნდა იცოდეს წინასწარ ყოველმა მმართველმა ქართველი ხალხისა. (რასაკვირველია, შიგადაშიგ დასჭირდება მას „ბრძანებას“ მიმართოს. მაშინ მან „მწიფე ხელი“ უნდა აღმოიჩინოს, რაიცა ეგზომ ახსიანთებდა დიდს დავითს: აღმამენებელს.

ქართულ ვარიანტს პრომეთესი უბირისპირდება ქართული ნადიმი. თუ პირველი მანგნებელია ქართული საფხრესი, მეორე გვევლინება როგორც ცდა ამ საფრხის აცდენისა. ქართულ ნადიმზე, რომელსაც ბადალს ვერსად მოუნახავ, ყოველი მოღბინე რომელიმე მხრით „პირველია“: ერთი როგორც მომღერალი, მეორე როგორც მროკავი, მესამე როგორც მორკინალი, მეოთხე როგორც მჭერმეტყველი, მეხუთე როგორც მოზაირე, მეექვსე როგორც მასწავებელი, მეშვიდე როგორც უზადოთ ნაკეთიერი და ლამაზი: და ასე ბოლომდე სუფრის ირგვლივ. ჰყავს რომელიმე მათგანს აქ მოქიშვე, მაშინ მისი „პირველობა“ იმ ნიშნით გამოიყვან, რომლითაც იგი მოქიშვესაგან გამოირჩევა. თუ ვინმე არც მომღერალია არც მროკავი არც მორკინალი არც მჭერმეტყველი არც მოზაირე არც მასწავებელი არც უზადოთ ნაკეთიერი და ლამაზი — მესიტყვე რალაცას მინც გამოუნახავს მასში, „თავმოსა-



მოგონებანი რუსეთის წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლის ისტორიისათვის

II

(პასუხი ბატონ აკ. პაპავას)

„ერთი ისტორიული თარიღის გამო“

(განმარტება: ბატონ აკაკი პაპავას დასტამბული ფურცელი: „ერთი ისტორიული თარიღის გამო“ ჰემობს ჩვენს თავად-აზნაურობას 1901 წლის „იუბილეოში“ მონაწილეობის მიღებისათვის. ეს ფურცელი გავრცელდა ქართველთა შორის.

რათგან ჩემის რწმენით ბრალდება სინამდვილეს ეწინააღმდეგება, მე ბატონ პაპავას 26 ენკისთვეს 1951 წ. ქვემოლ მოყვანილი პასუხით მივმართე. მას აქეთ 18 თვეზე მეტი გავიდა, ბატონ პაპავას ფურცელს არავინ გაეხმაურა და არც თვითონ ავტორმა მოგვცა რაიმე განმარტება. ქეშმარიტების აღსადგენად საჭიროდ მივიჩნიე ჩემი პასუხიც გამოვაქვეყნო).

გადმომცეს თქვენი ფურცელი „ერთი ისტორიული თარიღის გამო“. მთხოვეთ მოგაწოდოთ ჩემი მოგონებანი სოც.-ფედ. პარტიის დაარსებისთვის 50 წლის შესრულების გამო. დიდი სიამოვნებით ავისრულებდით სურვილს, რათგან ბევრი მოგონებები მაქვს. ხოლო ვშიშობ თქვენ არ დასტამბავთ, რათგან ბევრ კარგთან, ზოგიერთი არა-კარგი მოგონებაცა მაქვს. ესეც რომ არ იყოს, უკვე თქვენი ფურცლითგან ვხედავ,

რომ თქვენი და ჩემი შეხედულებანი სხვადასხვა მოვლენებზე და მათი დაფასებანი და გააზრებანი ძლიერ შორდებათ ერთმანეთს. თქვენ სწერთ: „... 1901 ქართველთა წარჩინებული წოდება დიდის ზეიმით იხდიდა საქართველოს რუსეთთან „შეერთების“ ასი წლის თავს...“ ჩემი მოგონებანი კი მე სხვას მეუბნებიან. „წარჩინებულმა წოდებამ“ (ე. ი. თავად-აზნაურობამ) კი არ იდღესასწაულა ამ უბედურების ასი წლის თავი, არამედ ამ წოდების პატარა ნაწილმა. იმ პირობებში სხვანაირად არც შეიძლებოდა. საკითხი იყო თუ რა გზას დაადგეს ქართველობა (ე. ი. თავად-აზნაურობა, რათგან მიხედვით რუსეთის კანონებისა, ეს წოდება იყო ერთად-ერთი, რომელსაც ჰქონდა უფლება ლეგალურად ეარსებნა როგორც კოლექტივის). ვარლამ ჩერქეზიშვილი (ფედერალისტთა პარტიის ერთი დამაარსებელთაგანი — ენევის კონფერენცია, 1904 წ.) ჩამოვიდა თბილისში და დაარწმუნა როგორც ილია, ისე სხვადასხვა წრეები ქართული საზოგადოებისა, რომ საჭიროა ერთმა ნაწილმა იდღესასწაულოს, მეორემ კი ივლოვოს (შავი სამოსელი — ნიშნად ივლოვ-

წონს“, რაიცა მისებური სხვას არი ახასიათებს: ან ქართველებსა, ან გაბედულობას, ან სიმამაცეს, ან კიდევ სხვა-რამეს. ქართული ნადიმი, ამრიგად, „ქეიფი“ კი არა უბრალო ანუ „დროსტარება“: იგი კულტია ნამდვილი, საცა შეხვედრის კრებულში პოლიფონიურ იმართება. ამ „პოლიფონიურობით“ იცდენს ქართველი თავისს საფრხეს: განკერძოებას, განაპირებას, ვათიშვას, განდგომას. საკვირველი არაა, თუ რატომ აფასებენ ქართველნი ასე დიდათ ნადიმის ხელმძღვანელს: თამადას. „პოლიფონიის“ გამყვანელი იგია და როგორც ასეთი ნამდვილი ხელოვანი, ხელოვანი ყოფის მოყვარებისა. გამჭრიახი გონი, ცოდნა პსიხოლოგიური ნუანსებისა ხასიათთა, მოზომვა „სმურის“, სიღინჯე, შემარიგებელი ტონი შესწავლადიანისა, ტაქტი, ეს უწინარეს ყოვლისა — აი დამახასიათებელი თვისებანი ნამდვილი თამადისა.

ეს: სუფრაზე. სახალხო ასპარეზზე? აქაც მმართველი იგივე „თამადა“, ხოლო იმ განსხვავებით, რომ მას მცირე ჯგუფთან მოღბინეთა კი არ აქვს საქმე, არამედ მთელს ერთან, რომლის ბედი მისი კიდე-სივანით მან უნდა წარმართოს. ადვილ წარმოსადგენია, თუ რამდენი სიძნელის გადალახვა მოუხდება მას. სძლევეს ქართველი თავისს აროსში პრომეთეულ საფრხეს, იგი ამით მართებულად განდგენს თავისს „თავმოსაწონ“ ნიჭს, ბუნებისაგან ბოძებულს. მეორე მხრით, იგი ამითვე გაუადვილებს მმართველს „საქმეს“ ერის ბედის წარმართვაში. საფრხე იგი, ცხადია თავისთავად, კიდევ უფრო მძაფრად უნდა ჰქონდეს ძლიერი თვითონ ხელის-უფალს, რათა მისი „ხელი“, მმართველი, „მწიფედ“ იქცეს.

აპრილი 1952  
გრიგოლ რობაქიძე  
ეენევა





სა). საჭიროა ერთმა ნაწილმა იდღესასწაულოს, რათგან თუ არ იდღესასწაულა: 1) რეპრესალიები მოსალოცნელი, როგორც აღკრძალვა კულტურული მოღვაწეობისა, შეზღუდვა ბანკის უფლებებისა, ქართული გიმნაზიისა, წერა კითხვის საზოგადოებისა, თეატრისა და სხვა დაწესებულებებისა, რომელნიც თავად - აზნაურობის ღვაწლითა და ხარჯით არსებობდენ; 2) ღღესასწაულის მონაწილეთ მიეცემათ საშუალება და შემთხვევა, რუსეთის მთავრობას საქართველოს უფლებები მოაგონონ — ი. ი. ტრაქტატები; 3) ერთ ნაწილს მისიც თავად - აზნაურობისა მონაწილეობა რომ არ მიეღო, ბურთი და მთიდან დაარჩებოდათ სომხებს და ისედაც ჩვენს ტერიტორიაზედ გაძლიერებულთ, რუსეთის მთავრობა უფრო დაძლიერებდა და ჩვენ უფრო დაგვასუსტებდა. ამ ვარლამ ჩერქეზიშვილის მოსაზრებანი. ასეც მოიქცენენ. მამინდელ თავად - აზნაურობას და „მოწინავე“ თუ არა - მოწინავე ინტელიგენციას კარგად ვიცნობ. ჩვენს ოჯახში ხშირად იმართებოდა კრებები. დარწმუნებით შემძლიან გითხრათ: ჩვენი თავად - აზნაურობისა, ისევე როგორც მთელი ჩვენი საზოგადოების გრძობა — გლოვა იყო და არა ხეიმი. ვამონაკლისნი ყველა წოდებებსა და ყველა კლასებსა ჰყავთ.

რაც შეეხება „მოწინავე ინტელიგენციას“ იგი ხომ სისხლი სისხლითგან და ხორცი ხორციითგან იყო ჩვენი „წარჩინებულნი წოდებისა“. არჩილი ჯორჯაძე, რუხილაძე, ლორთქიფანიძე, ლასხიშვილი და სხვანი, ასევე ოთხმოცდაათი ამ „ინტელიგენციისა“ ან თავადი ან აზნაური იყო.

აიღეთ 1904 წ. ენევენაში შეკრებილი კონფერენცია, რომელმაც ჩამოაყალიბა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია: არჩ. ჯორჯაძე — თავადიშვილი, ვარლ. ჩერქეზიშვილი — თავადი-

შვილი, მიხ. წერეთელი — აზნაურიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი — აზნაურიშვილი და ესე სხვანიც.

რადა გვჭირდება სამარეშიაც კი არ მივცეთ მოსვენება ამ „წარჩინებულ წოდებას“ რომელმაც მოგვეცა ერთი უკეთეს დინასტიათგანი მთელი ისტორიისა; დიდნი ზელადნი პოლიტიკისა, დიპლომატიისა თუ ბრძოლისა; შეგვიქმნა და დაიცვა ორიგინალური ეროვნული კულტურა; ათეულ - საუკუნოებით ატარა თავის ზურგზედ მძიმე ტვირთი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა, თუ მის აღსადგენად თავგანწირული ბრძოლებისა; მოგვეცა უამრავი რიცხვი წამებულთა; მღვდელ - მთავართა; დავიცვა რჯული უსასტიკეს პირობებში — და როდესაც რუსეთმა განსარცვა საქართველო ყოველ უფლებებისაგან, ამ „წარჩინებულმა წოდებამ“ მთელი თავისი კოლექტიური სიმდიდრის შემოსავალი ქართველი ხალხის, განუორგვლად წოდებისა და კლასისა, კეთილდღეობას მოანდომა. თავად - აზნაურობის ბანკის წევრად შეეძლო ყოფილიყო ყველას, რა კლასისა და წოდებისაც არ უნდა ყოფილიყო იგი. სათავად - აზნაურო სკოლაში სწავლობდა ქართველი ყველა წოდებისა და კლასისა; ასევე თეატრი, — მოსწავლეთა სტიპენდიები და სხვა... და როდესაც საქართველო განთავისუფლდა, მთელი თავისი, ი. ი. წოდებისა, შეძლება ქართველ ერს გადასცა.

ამ წოდებას დღეს, აღარც „წარჩინებულობა“ აქვს და აღარც არსებობა. მისი ადგილი „მოწინავე ინტელიგენციამ“ დაიკავა. შედეგი? მახლას! ამ შედეგს ქართველი ერი დღეს ღრმად განიცდის...

გიორგი კერესელიძე

**საქართველო აზია - ამერიკის მიჯნაზედ**

როდესაც მკითხველი და მოაზროვნე საზოგადოება ამ რამოდენიმე ათეული წლის წინათ, პირველად გაეცნო გერმანელ მწერლის შპენგლერის დღეს უკვე ცნობილ ფილოსოფიურ წიგნს: დასავლეთ ევროპის აღსასრული“ (**Untergang des Abendlandes**) მან ეს დიდი და ჩვენთვის საბედისწერო თეორია ვერ შეიგრძნო და ვერ შეაფასა ისე, როგორც ჯერ არს. პირიქით,

ეს შრომა იყო მიღებული როგორც ახალი ევროპის ფანტასტიური ან სხვა მწერალთა მომავლის იდეები, რომელთა განხორციელება თანამედროვე თვალსაზრისით ან ძნელია, ან შეუძლებელი. საფიქრებელია, არც იყო რაიმე თვალსაჩინო საბუთი ევროპის დაღუპვაზედ ფიქრის ანუ ამ საკითხის განხილვის, რამეთუ მაშინ ევროპას არც ზნეობრივად, არც სულიერად და კულტურულად და არც მხედრულად ან ეკონომ-

მიუხრდა არსაიდან ელოდა საფრთხე და არც მეტოქე მოეპოვებოდა. საფრანგეთის ლეგიონები კიდევ ჰვლოზდენ აფრიკისა და შორეულ აზიის კოლონიებს და 1918 წლის გამარჯვებამ ეს იმპერია სამხედრო და ეკონომიური თვალსაზრისით უპირველეს რიგებში წასწია. ინგლისი ურყევად იდგა თავის სიმაგრის ბურჯებზედ გიბრალტარ-სინგაპურის მთელ ხაზზედ და მსოფლიო საზღვაო ხელშეკრულება მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს ანიჭებდა უფლებას თანასწორი პარტეტი ჰქონებოდა ინგლისთან სამხედრო საზღვაო ერთეულებს. ინგლისის სრუტეები და საზღვენები, მიუხედავად ამ პარტეტისა მაინც, მიუღწეველ ძალას წარმოადგენდნ და მას კიდევ შეეძლო ეთქვა, რომ ყოველი ზღვა ინგლისის იმპერიის ნაწილია.

ევროპაში ავსტრიის, გერმანიის და რუსეთის იმპერიების დაშლამ მოახდინა მხოლოდ ძლიერების გადაჯგუფება შიგნით ევროპის ფარგლებში. გარეთ, მიმართ სხვა რომელიმე ძალისა ევროპა როგორც ერთეული უცვლელი დარჩა. ეს იმპერიები და ათამდე ევროპის სახელმწიფოები, მფლობელნი უამრავ კოლონიებისა საშუალებას აძლევდნ ევროპას თვისი განებივრებული ცხოვრების დონე აეწია როგორც სურდა. დამარცხებული გერმანიის ეკონომიკა, პირველ მსოფლიო ომის შემდეგ, მალე შეიქმნა მნიშვნელოვანი ფაქტორი საერთაშორისო აღებ-მიცემობაში და ამავე გერმანიის განახლებული უძლიერესი სამხედრო პოტენციალი უდავოდ უდიდესი ექსპონენტი იყო ევროპის ექსპანსიის, მაგრამ ის ვერ იქმნა გამოყენებული ვერც გერმანელებისა და ვერც ევროპელების მიერ ევროპის საკეთილდღეობთ.

ყოველ შემთხვევაში ყველა ეს ფაქტორები, მოჩვენებით მაინც, შარავანდედი იყო იმისა, რომ ევროპის ძალის ჩასვენებამდე კიდევ ბევრი კოცა წყალი ჩაივლიდა. ასე ჰფიქრობდნ ისინი ვისაც ასე სურდა დაეჯერებია.

რომელიმე სახელმწიფოს ან იმპერიის დანგრევას მზღამ წინაუძღოდა ან კულტურული დეკადანსი, ან შინაგანი რღვევა, ან ის მსხვერპლი ჰხდებოდა უფრო ძლიერი სახელმწიფოსი. ასე იყო ასურეთის სამეფოს დასასრული, რომელმაც ადგილი დაუთმო ბაბილონის იმპერიას, ამან მედიის სახელმწიფოს, ხოლო ეს უკანასკნელი ხანგრძლივი მეტოქეობის შემდეგ დარჩენილი იქმნა მაკედონელის მიერ, რომლის და-

სუსტებულმა იმპერიამ დაბოლოს თვისი პირველობა რომს დაუთმო.

ასეთია ბიოლოგიური კანონი და ასეთია ბედო როგორც კულტურის, ისე მის მატარებელთა. რომი დაანგრევს ვითებმა, ამ უკანასკნელებმა კი თავიანთი ძალა შეალიეს რომის წმიდა იმპერიის გერმანელ ერისათვის განმტკიცებას. და თუმცა მას შემდეგ ბევრმა ქარიზხალმა დაჰბერა ევროპის კიდევმთან, მაგრამ ელოდა და რომის კულტურაზედ აღმოცენებულმა, პირველყოფილმა ქალდეური-ბაბილონურმა კულტურის ყლორტმა ისე მაგრად დაიდგა ფესვები ევროპის კონტინენტზედ, რომ მიუხედავად სარწმუნოებრივი, მემკვიდრეობითი და სხვა მიზეზებით გამოწვეული უამრავი დამსაუსტებელ-გამანადგურებელ ომებისა, ევროპა გამარჯვებული გამოდის აზიიდან მოვარდნილი ჩინგიზყანის ურდოების წინაშე, თურქ-სელჩუკების მიმართ ავსტრიის ალყა-შემორტყმულ დედა-ქალაქის აღების დროს და აფრიკიდან შემოჭრილ არაბების წინააღმდეგ. ამიტომ ევროპის დაღუპვის საშიშროება არავისათვის აქტუალური არ იყო. მას ვერ ჰხედავდნ და არ ჰხედავდნ, მიუხედავად იმისა, რომ შენგლერის წინასწარმეტყველება არა ჩვეულებრივი რამ არ იყო და შესავსი მაგალითები ხშირად მოიხსენიება, როგორც ახალ, ისე ძველ გარდმოცემებში: ასურეთის დედა-ქალაქის ნინევიის ბოლო და მით თვით ასურეთის დაღუპვა სიტყვა-სიტყვით იწინასწარმეტყველა სოფონისმ ისე, როგორც ეს აჰხდა სინამდვილეში. ბაბილონის დაშლობა ისაიამ 170 წლით ადრე განსაკვირია. ფრიდრიხ დიდისათვის აღწევდნ იყო ცნობილი, რომ პრუსიის ვარსკვლავს სხვა უფრო ბრწყინვალე მნათობი დასრდილავდა. და საფრანგეთის სისხლიანი რევოლუციის მომავალიც მთელი თავისი საშინელებით და სისასტიკით წინასწარ იყო თქმული, მაგრამ მისი მთქმელი მაშინდელი საზოგადოების მიერ იყო მიჩნეული უნიჭო და ბოროტ ოხუნჯათ.

რას თქმა უნდა მეცნიერულად და მათემატიკური სიზუსტით აგებულ შენგლერის თეორიას ქარს ვერ გაატანდნ და მაინც თუ მას ყურადღება მიაქცია თანამედროვე პოლიტიკურმა და მოაზროვნე საზოგადოებამ, იმდენათ მხოლოდ, ჩამდენათაც ეს თეორია, თუ საერთოდ სიმართლეს უახლოვდებოდა, წარმოადგენდა შორეულ, ძალიან შორეულ შესაძლებლობას და ბევრის აზრით თუ ევროპის დაღუპვა საერთოდ

შესაძლებელი იყო, იგი იმდენათვე უნდა ყოფი-  
ლიყო დაშორებული ჩვენგან, რამდენადაც ან-  
ტიური ქვეყნების კულტურის და ამით თვით  
მათი პოლიტიკური ჰეგემონიის ჩასვენება.

ამასობაში კი ევროპის აღსასრული დაიწყო  
ისეთის ტემპით, რომელიც უკვე ყველასათვის  
თვალსაჩინო გაჰხდა. ევროპა არ იძირება არა-  
რაობაში, როგორც სოდომი ან გომორა, ის არ  
ჰხდება მსხვერპლი საშინელი სტიქიური ძალისა  
ვითა პომპეი! ევროპა არ იძირება უფსკრულში  
მგზავსად ატლანტიდისა რაღაც საიდუმლო კო-  
სმიური ძალის გამო თვისი კულტურით უკვა-  
ლოდ. ევროპის დაშლის პროცესი გრძელდება  
წლებით. (მხოლოდ!) მისი მოწამენია გენერა-  
ციები და ის სახელმწიფო მესაჭენი, რომელთაც  
ბედმა არგუნა საკუთარი ქვეყნის მართვა და  
ამით ყველას იერთად ევროპის ბედ-იღბალი.  
რუსთველის ბრძნული ნათქვამით არაფერი  
ჰხდება განგების სურვილის გარეშე და არც  
არავის ძალუძს ამ სურვილის გარდავლა, მაინც  
საინტერესოა: იყო თუ არა შესაძლებელი ამ  
დაშლის და ჩრდეთის პროცესის შეწყვეტა, ან  
საბოლოო კატასტროფის უფრო გვიან ეპოქაში  
გადატანა? რა თქმა უნდა ის რაც მოჰხდა ალ-  
ბად უნდა მომხდარიყო, მაგრამ ის რაც ჯერ არ  
მომხდარა, მისი თავიდან აცილების საშუალება  
ჯერ კიდევ სადღესობით გამოირიცხული არ არის.

ყოველი ომი თავში თითქმის აუცილებელი,  
ბოლოს უნარო ხდება, თუ ის რაიმე უმადლე-  
სი მიზნით არ იყო წარმოებული. არც 1914 წ.  
და არც 1939 წლის ომებს ეს უმადლესი პრინ-  
ციპები არ ემჩნეოდათ. და მაინც რატომ უნდა  
მისულიყო ევროპა ორი მსოფლიო ომის გამო  
იმ უფსკრულის კიდევზე, საიდანაც სხვა გამო-  
სავალი არ არის, თუ არა ამ უფსკრულში გა-  
დაჩვენა!

ნაპოლეონის წინააღმდეგ ომების დროს არა-  
ფერი საფრანგეთისა და ფრანგ ერის წინააღ-  
მდეგ არ იყო მიმართული. ბრძოლა იყო ბუო-  
ნაპარტის წინააღმდეგ და ამ ბრძოლებთან და-  
კავშირებით არავის მოსვლია ახრათ გაენადგუ-  
რებია საფრანგეთი. ვენის კონგრესმს საფრანგე-  
თის ტერიტორია არ შეჰკვეცა და არც ისეთი  
საზავო ხელშეკრულება უკარნახა, რომლის  
ქვეშ შესაძლებელი იყო გასრესილიყვენ რო-  
გორც გამარჯვებულნი ისე დამარცხებულნიც.

1939 წ. ომი თუ მიმართული იყო პიტლერი-  
სა და მისი იდეოლოგიის წინააღმდეგ, მაინც  
განსხვავებას არაფერ აკეთებდა ხელისუფლებისა

და თვით გერმანელი ერს შორის, ის რაც არ მო-  
მხდარა იტალიაში. უკვე 1918 წლის დამარცხე-  
ბამ გერმანიის ისეთი საზავო პირობები დააკის-  
რა, დომელიც აუცილებლად ახალ ომის მო-  
მასწავებელი უნდა ყოფილიყვენ, რასაც არა  
თუ ჰხედავდენ, აშკარად აღიარებდენ კიდევ  
მისი მოწინააღმდეგენი. მეორე მსოფლიო ომის  
პროცესში და განსაკუთრებით ომის შემდეგ სა-  
ესებით იქმნა განადგურებული გერმანიის ეკო-  
ნომიური საფუძველი და საერთოდ მისი სახელ-  
მწიფოებრივი წყობა და ამით ევროპის შუაგუ-  
ლში შეიქმნა ხელოვნურად უდიდესი სიცალი-  
ერე ეკონომიური თვალსაზრისით, ხოლო უდი-  
დესი ქალის პოლიტიკური თვალსაზრისით. წი-  
ნააღმდეგობა დამარცხებულსა და გამარჯვე-  
ბულთ შორის კიდევ უფრო გაღრმავდა ზავის  
შემდეგ, რასაც ისტორიის ანალიზში ჯერ ადგი-  
ლი არ ჰქონია. ყოველმა ლოლიკურმა და გონე-  
ბრივმა გარდაწყვეტილებამ ადგილი დაუთმო  
შიშს!

გერმანიის სამხედრო პოტენციალი, მიუხედა-  
ვათ დამარცხებისა მაინც იმდენათ დიდია, რომ  
ის მომავალ ომში იქით გადაჭრის გამარჯვების  
სასწორს, საითაც თვითონ იქნება. ეს ყველასა-  
თვის ცხადია და ამით აიხსნება დღეს უნდობ-  
ლობაც და მოფერებაც მიმართ გერმანიის ერი-  
სა გამარჯვებულ სახელმწიფოთა მიერ.

უთანხმოებანი დასავლეთსა და აღმოსავლეთს  
შორის, ამით გამოწვეული გირების კომბინაცი-  
ები ძალთა სასწორზედ, ანუ მათი მარჯად და-  
ტოვება საბოლოო გარდაწყვეტ წუთისათვის,  
ყოველი ამის ჩამოთვლა ჩვენ ძალიან შორს წა-  
გვიყვანდა. ჩვენთვის ყოველივე ეს საინტერე-  
სოა მხოლოდ იმდენათ, რამდენადაც ყოველი  
მოვლინა ევროპაში უშუალოდ ანარეკლს იწ-  
ვევს თვით საქართველოში, დაწყებული ქრის-  
ტიანობის მიღებიდან მოყოლებული ჯვაროსან-  
თა ომებით და აღორძინების ხანით და ვათავე-  
ბული ორი მსოფლიო ომით, რომელმაც ჩვენს  
ქვეყანას ამ ომის სადაო საკითხებში ბეგარად  
დააღო ორივეჯერ სამსახურსამდე, მებრძოლი, და  
ვინ იცის, რაოდენი მსხვერპლი. ამიტომ გასაგე-  
ბი ჰხდება, რომ არა კულტურულად და ჰუმან-  
იურად, უპირველეს ყოვლისა წმიდა იერონუ-  
ლი გულისტკივილით ჩვენ ქართველები თვალ-  
ყურს ვადევნებთ ევროპის ამბებს დარწმუნებუ-  
ლნი იმაში, რომ ევროპის საბოლოო დაქანება  
იძულებით გამოიწვევს თვით ჩვენი ქვეყნის და-  
ქანებას, რომელიც თავიდანვე ევროპის ორბი-

ტში იყო და ევროპის კატასტროფის თავიდან აცილება საშუალებას მისცემს ჩვენს ერს დაქცეული სისხლი აინაწილოს, ურომლისოდაც საერთოდ დგება საკითხი ჩვენი ყოფნა არ ყოფნის! ევროპის გადარჩენა, საბოლოო კატასტროფის თავიდან აცილება კი შესაძლებელია ამ საფრთხის ღირსეულად წმენდაში, ევროპა დღეს იმ ცენტრშია, სადაც უნდა დაეჯახნენ ურთიერთს ორი დიდი შეკუმშული ძალა თავიანთი სატელიტებით. ეს არის აღმოსავლეთიდან საბჭოთა კავშირი, რომელიც მოიწვევს დასავლეთისაკენ და მისი მამოძრავებელი იმპულსი, „Spiritus rector“ - ია კონტინენტალურ - გეოგრაფიული, ეროვნულ - რასიული და პოლიტიკურ - იდეოლოგიური. დასავლეთიდან მსს. ჰბედება ამერიკის კაპიტალისტური დემოკრატია უძლევი ფინანსიურად, უდიდესი სამხედრო პოტენციალით და სხვა უამრავი შესაძლებლობებით, მაგრამ უფრო სუსტი როგორც ფანატიკოსი და განწითენილი ძალა.

ევროპის დარღვევამ უეჭველყო ამ ორი ძალის დაპირისპირება, რადგან დარღვევულია წონასწორობა როგორც სამხედრო, ისე ეკონომიური, ისე იდეოლოგიური. და როგორც გერმანია გაყოფილი, როგორც ევროპაა გაყოფილი, ისე მსოფლიოა გაყოფილი ორ დიდ მოპირდაპირეთა მხარეხედ, რომელთა სამხედრო და მეცნიერული პოტენციალი არაერთი საშუალებას არ ჰზოგავს, რომ ის განმანადგურებელი იარაღები შექმნას, რომლებიც მათ გამარჯვებას თავიდანვე უეჭველყოფენ. ასეთ დროს შეძლო ევროპას ის როლი ეთამაშა, როგორც ძველათ საქართველოში მანდილს ორი მოპირდაპირეთა შორის. მაგრამ დღევანდელ ევროპას აღარც მანდილი აქვს და აღარც მხედიში! ამ ორ მოპირდაპირის დაშორება კი შესაძლებელია მხოლოდ ევროპის აღდგენით, ძლიერი ან ჯანმრთელი ეკონომიური, მხედრული და სახელმწიფოებრივი საფუძვლებით, რომლის გადალევას როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი მოერიდებოდა. საკითხია მხოლოდ დამწიფდება ეს ახლი ევროპის მოაზროვნეთა და პოლიტიკოსთა თავში უმაღლ, სანამ საბოლოო ბრძოლისათვის უკანასკნელი სამზადისი იქნება შესრულებული და ამით ომის შესაძლებლობა აუცილებლობამდის მიყვანილი თუ არა? და აი ამიტომ სდგას საკითხი: ვამოიფიტა ევროპა და დაიწყო მისი შეუჩერებელი დაქანება თუ არის კიდევ მის წიაღში საკმაო ძალა და სურვილი

თვის გადარჩენის, რომ ეს დაღუპვა დააქანოს ყოველშემთხვევაში ისეთი სიბრტყით, რომ არ მოჰყვეს მას სრული კატასტროფა და განადგურება, როგორც ინკას კულტურის, რომელსაც თან მოჰყვენ მისი მატარებელიც.

როგორც ანდამატის ისარი რკინასთან მიხლოებით, ისე ტოკავს დღეს ქართველი ერის გული ომის საფრთხის მოახლოებით, რას მოუტანს მას ომის თავიდან აცილება ან რას უქადის მას ომი? შესაძლებელი ომის დროს ადვილი საფიქრებელია, რომ უმწვავესი როლი ითამაშოს კავკასიამ, აქედან იწყება მაჯისცემა საბჭოთა კავშირის სამხედრო მექანიზმის. მეორის მხრივ ძალიან ახლოს კავკასიასთან გადის აორტა ინგლის - ამერიკული ჯარების. ეს არის ირაკის და მოსულის ნავთის მილი. აქედან, ასე ვთქვათ, ერთ ნახტომზეა სუეცის არხი, ეს სასიცოცხლო ძარღვი ინგლისის იმპერიის. როგორც ვხედავთ, თავდაცვისა და მოპირდაპირის სასიკვდილო ჭრილობისათვის უდიდესი მნიშვნელობის ადგილებია კავკასია — მცირეაზიითურთ. აქ მოსალოდნელია ჯარების დაგროვება ორივე მხრივ, აქ მოსალოდნელია სასტიკი ბრძოლები, აქ მოსალოდნელია ისტორიის ზოგიერთი ეპიზოდის განმეორება.

ჩვენ ქართველებს სწორედ აქ გემართება ნებანი გონიერთა და როგორ წრის კვადრატურა იგეგმავს საბედისწერო კითხვა ისმება: დადუნდა ეროვნული მაჯის-ცემა ქართველი ერის, ბნელმა მოიცვა მისი გონების წიაღი, თუ ჰღვივის კიდევ ნაკვერცხალი იმ დიდი ცეცხლის, რომელიც დაანთეს მისმა წინაპრებმა ქალღუში, რომელსაც ეზიარნენ ბაბილონელი და ასურელი, რომელიც გადმოიტანეს ევროპაში ბიზანტიელებმა და გააღვივეს რომაელებმა, რომელიც მსაც კომეტასავით გაიქცა საქართველოში ჯეროს ხანის დროს და რომელიც მანამ გაანათებს ჩვენს სამყაროს, სანამ ჩვენი დედა - მიწა არ გადავა მკვდარ პლანეტათა რიცხვში.

დღეს თანამედროვე ტექნიკის და მეცნიერების ხანაში ახალი ცნებები ჰსუფევს დაახალი საზომები. ყოველ ერს, ხალხს, სახელმწიფოს იმდენი მნიშვნელობა აქვს, რამდენი წინააღმდეგობაც შეუძლია მან გამოიჩინოს ატომის ბომბების მიმართ. ამ მხრივ ჩვენი ხედვითი წონა ძალიან პატარაა. ჩვენზე უფრო მრავალრიცხვან ხალხის ეროვნულ თავმოყვარეობასაც როგორც ტალახს ისე აკუნდავენ მისი მოწინააღმდეგენი. ჩვენ ლაპარაკს ან ცდას რა ახლი აქვს,

### პრეტ - პრეტ ქართველთა მხედარობათა რთავანი ბიზანტიისაჲ

ქართველი მხედარობათაჲთა მორის ბიზანტიის იმპერიისაჲ დღემდე უფრო ცნობილია დიდი დომესტიკოსი გრიგოლ ბაკურიანი ალბად იმითომ, რომ გრიგოლის ღვაწლი საქართველოსათვის ბერძნით აღმსაქმება სხვა სტრატეგითა ღვაწლსა და მისი გავლენის კვალი დღემდე ცხადად აჩნია ქართველობას. გრიგოლის მნიშვნელობამ შეიძლება უფრო იმატოს ახლო მომავალში, რაკ მისი ტიპიკონის ახლად აღმოჩენილი, უკვე ორჯე ხელნაწერში შემონახული ქართული ნუსხა, მძლავრად შეიცვლება ქართული სამართლისა და ენათმეცნიერების სამყაროში.

ამ სახელოვან მხედარზე და ღრმა ქრისტიანზე უამრავი ცნობებია გაბნეული ბიზანტიის მწერლობაში და ამ უკანასკნელის შესწავლის საფუძველზე ევროპის ახლად გაშლილ კვლევადობაში. უკანასკნელად მას შეეხო საკეთილოდ სწორით იმ ქვეყნისმეცნიერთა ხელი, სადაც გრიგოლ ბაკურიანმა აღმართა მისი საწესო მონასტერი პეტრიწონისა.

სოფის სამეცნიერო აკადემიამ შარშან გამოსცა მისი ახალი ორგანო „ბულგარიის საისტორიო ინსტიტუტის მოამბე 1-2, 1951 წ.“. ამ მოამბეში (გვ. 99 - 189 და 266 - 297) პროფ. ვსევოლოდ ნიკოლაევი ორი ვრცელი ნარკვევი უძღვნა გრიგოლ ბაკურიანს: მისი მონასტრის დანიშნულებას ბალკანეთის სარეში და მისი ქართულ-ბერძნული ტიპიკონების სვებედს და ღირებულებას. პროფ. ვსევოლოდის თხზულება აგრეთვე მით არის ჩვენთვის საფულისხმო, რომ

ან რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს, ან რით შეესძლებთ ამოდრავებულ მწერის შეჩერებას!

ყველა ცდა ეს ჭიქაში ტალღების აზვირთება. ვიმედოვნებთ მხოლოდ, რომ ქართველი ერის ასტრალური მეთაში არის რაღაც უჩინარი ძალა, რომელმაც ეს მცირე, მაგრამ დიდი ერი ისტორიის ბეჭდურ მიხველ-მოხვეულ გზებში, ხშირათ ბნელით მოცულ ეკლიან ისტორიის ნაკვეთებში სწორი გეზით ატარა და მოიყვანა უხსოვარი დროიდან მეოცე საუკუნის ნახევარზედ, მაშინ როდესაც მისი ისტორიის თანამგზავრები და თანამედროვენი ერთეულ შემთხვევით განისვენებენ სხვა და სხვა ქვეყნის მთხუთმებში!

არჩილ გამართელი

შიგ დატანებული აქვს ფოტოგრაფიული სურათები როგორც მონასტრისა და ეკლესიისა, ისე ქართულ-ბერძნული ტიპიკონისა. ჩვენთვის უფრო საყურადღებოა შემდეგი ნახატები: 1. ეკლესია - მონასტერი და 2. ბერთა სამარხო მათი გაჩემო მთა-ბაჩით, რაც საოცრად წააგავს ბორჯომის ბაკურიანს, ალბად ამ ბაკურიანების პირველ-ყოფილ ბინას და მამულს. 3. ფერადებიანი ფრესკო თვითონ გრიგოლის და მისი ძმის აბაზისა, ბიზანტიის კარის უმღლეს ხელი-სუფალთა ბრწყინვალე მორთულობა - სამოსში, სამწუხაროდ ცოტათი დაშავებული. ორივე ძმას ეკლესიის გეგმა უპყრია ხელში. ფრესკო უნდა ეკუთვნოდეს ეკლესიის აგების ხანას. 4. ტიპიკონის ქართულ-ბერძნული ტექსტების რამოდენიმე გვერდის ფოტოგრაფიები. 5. ალბად პირველად აქ გამოქვეყნებული, 1311 წელს მოჭედილი ხატი ღვთისმშობლისა, იმ წარწერით, რომელიც ჩვენ უკვე დავბეჭდეთ ამ ჟურნალში (იხ. „ბ. ქ.“ № 8)\*. ხატის სახე კარგად არ მოსჩანს: სიძველის გამო ჩაშავებულია და ბუნდოვანად გამოიყურება. 6. ოთხი სხვა ქართული მონოგრაფიული წარწერა ჯვარისა, ეკლესიის კედელზე. 7. მერქიდმეტე საუკუნის ფერადებიანი და უხადოდ შენახული ფრესკო ეკლესია - მონასტრის „ახლად აღმშენებელის“ თუ კეთილის მყოფელისა.

ყველა შემოდ მოყვანილ ცნობებს რომ კაცმა თავი მოუყაროს და ერთ მთლიანად დაამუშავოს, დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოს წარსულს და მის კულტურას.

იმპერიის მეორე სახელ-განთქმული სტრატეგი გახლავთ ბაკურ დიდი, მე-IV საუკუნის ჩინებული მთავარ-საზღალო და ეგების ქართველთა მეფეც. ეს ბაკურია, რომელმაც დასაქმლეთს პირველად აცნობა ქართლის მოქცევა წმ. ნინოს მიერ. ამ დიდ ქართველზე უფრო ვრცელად ალბად სხვა დროს.

მესამე დიდი მხედარ - მთავარი, რომელიც აქ მკითხველს უნდა გაეცნოთ, არის გრიგოლ იბერიძე ანუ ბერძნულად „გრიგორის იბერიძის“.

ამ იბერიძეს თანაზზე, სამწუხაროდ, მარტო შემთხვევითი ცნობები თუღა დარჩენილა

\* გამოცემისას ერთი შეცდომა იქმნა დაშვებული: ჯერ უნდა იყოს ფურცელი B და მერვ ფურცელი A.

ძველ საისტორიო მწერლობაში. მთავარ წყაროდ აქ დავასახელებთ ბიზანტიელი მწერლის, კედრენის „გამოკრებულ ისტორიას, Niebühri-ის გამოცემას: Corpus Scriptorum Historiae Byzantinae 1889 წ., კედრენის Historiarum Compendium II, გვ. 267 - 268; 278 - 281.

კედრენის მოწმობით გრეგორი იბერიძე მოღვაწეობდა მეცხრე - მეთათე საუკუნის მიჯნაზე, ბიზანტიის იმპერატორ ლეო მე-VI-ის (886 - 912) და კოსტანტინე მე-VII-ის (913 - 959) დროს. ლეონის დროს გრეგორი იბერიძე იყო „სქოლების დომესტიკოსი“ ე. ი. ბიზანტიის ერთ - ერთი უდიდესი სამხედრო წყობის მთავარ - საზღალო. ბიზანტიელი მწერლები შემდეგს გვაუწყებენ იბერიძეზე: მის დროს ლეო იმპერატორს აუჯანყდა მისი ქვეშევრდომი ანდრონიკე დუკა, ქართულად დუჭი, რომელიც ქალ. იკონიის ახლო თავის ციხე კაბალაში შეკეტა იყო. ლეონმა დუკას ქედის მოსახრელად დიდი - ძალი რაზმით გაგზავნა დუკისავე მახლობელი თუ მოყვარე, თვითონ ჩვენი გრეგორი იბერიძე. ანდრონიკე დუკამ რომ იმპერატორის მოქმედება და იბერიძის მოახლოვება იუწყა, მაშინვე მიატოვა თავისი სიმამრე, გაიპარა საბერძნეთიდან და აგაზიანთ - სარკინოზებს შეეხიზნა. რაკი იმპერატორი ვერ შეეღობა სახელოვანი და გავლენიანი პირის ხელიდან გაშვებას, მან წერილობით სცადა ლტოლვილი. დუჭი ისევე იმპერირის საზღვრებში შემოეყვანა. ოღონდ არსებებმა გაუფეს ასეთი განზრახვა და, განთავისუფლების მაგიერ, დუჭის თავი საპრობოლეში უკრეს, სადაც გარდაიცვალა. გრეგორი იბერიძის და მოსტყენარე დუკების, იბერიძის ნათესავების ამბავი ამით არ აღსრულებულა.

ლეო იმპერატორი რა მოიცვალა, მის მაგიერ მეფედ გამოაცხადა 7 წლის ყრმა კოსტანტინე მე-VII, პორფიროგენტი, რომლის სახელით იმპერატორს განაგებდნენ მისი აღმზრდენი. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, სამეფოს საქმეები ისე ბრწყინვალედ აღარ მიდიოდა, შინაური ყოფა ნელ - ნელა აიწესა და ხალხის ერთი ნაწილი დარტყნიდა - ჩვილს მიეცა. ამიტომ მოხდა, რომ მთელი რიგი გავლენიან ბერძენთა ფარული ბრძოლაში ჩაება „აღმზრდელთა“ წინააღმდეგ. ამ შეამბოხეთ მალე გამონახეს ყრმა მეფის შეტოქე - მოადგილეც. ეს მოადგილე იყო მამინდელი სქოლების დომესტიკოსი, ანდრონიკე დუჭის ძე და გრეგორ იბერიძის სიძე, კოსტანტინე დუჭი. ჩანს იბერიძეს თავის ქალიშვი-

ლთან ერთად კოსტანტინესათვის გადაულოცნია ასევე თავის პატივიც — სქოლების დიდი დომესტიკოსობაც, თვითონ - კი, მაგისტროსის ტიტულით კმაყოფილს, მყოფრო და მოსვენებითი ცხოვრება აუჩრჩევია.

აი ამ კოსტანტინეს, მეგობარ - მრავალს, გულადს და პატივ - მოყვარეს ქალაქიდან დაუწყეს ფარულად ევადრება და წვევა: მოდი კოსტანტინეპოლი და იბერია ხელთ ივდე და ბოლო მოუღე ბავშვის მთავრობასო. კოსტანტინემ არც აცდია, არც აცხელა, უყოყმანოდ აპყვა მეგობართა ჩრჩევს და მცირე ჯარის ნაწილით ღამე დედა - ქალაქში შეიპარა სწორეთი იმ კარით, რომლის სახელოვეს ქალაქში ბინადრობდა მისი სიმამრი იბერიძე. კოსტანტინემ ღამე სიმამრის სახლში დაპყო. აქ მას შეუერთდნენ სხვა მისი ნაცნობები და მიმდგომნი. დილის ალიონზე, ის - ის იყო სამოქმედოდ უნდა აშლილიყვენ, რომ მოწინააღმდეგეებმა დაასწრეს... პალატის სადარაჯო რაზმი ვილაკას ივადერთხილებია.

საპალატო აჯანყების დროს კოსტანტინეპოლში ცირკს მუდამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ცინც ამ სრულელობისას ცირკს ხელში ჩაიგდებდა და ხალხს ალეღებით დაიყოლიებდა, გამარჯვებაც მას გაუღიმებდა. ამიტომ იყო, რომ მთავრობის ხალხმა მყისვე ჩაკეტა ცირკის ყველა შესავალი და სამეფო ჯარი იმ წამსვე აამხედრს იმპერატორის დასაცავად. მოხდა დიდი ბრძოლა ორ მოპირდაპირეთა შორის. მალე უკუიწვდა კოსტანტინეს მცირე რიცხოვანი რაზმი და მიმოიფანტა. გახლეჩილი კოსტანტინე ცხენით გავარდა, მავრამ ცხენმა უმტყუნა ქალაქის დასრვეულ ქუჩებში და მხედარი ძირს ვადმოსროლა. წაქცეულ შეამბოხეს ვილაკამ თავი მოჰსჭრა და მიეფეს მთავრთა. აჯანყებაც ჩაქრა...

სამინელი და შემადრწუნებელი იყო გამარჯვებულთა შორის - ძიება: ზოგი კუროს ნერვით გამოლტეს და მონასტერში შეაგდეს ნაცემ - ნათრევი, ზოგს თავი მოავდებინეს, სხვებს თვალეები დაუხნელეს, ვიეთნი პალოზე ჩამოაგეს და ზოგიც გამოასაჭურისეს. იბერიძეს რაღა ვადახდა? კოსტანტინეს მარცხი რომ შეიტყო, მან უმაღლე თავი შეაფარა წმიდა სოფიის ეკლესიას. მაგრამ სამეფოს რეგენტებმა ტადრიდან გამოათრირეს ის, გაკრიჭეს და სტუდენტთა ერთ საგანეში შეამწყდირეს. იბერიძეს მეთქი ღეთის - რისხვა არა სწევია, ეგების იმიტომ რომ ან არა იცოდა რა მისი სიძის ბოროტი ზრახვებისა, რაც საეჭვოა, ანდა უმკაცრესი სასჯელის თავდატე-

მის. წარბელოს სიტყვა წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის ტვილისში  
ჩამოსვენებისას 7 სექტემბერს 1907 წ.

მამულიშვილო!

„ვინა თქვა საქართველოზედ, რა დიდი ლო-  
მი კვდება!“ — ბევრმა წამ და ბევრმა ვინმე!  
ყოფილან ჩვენ ისტორიაში შევნი დრონი, რო-  
დესაც თავზარი-დამცემნი სიტყვანი — საქართ-  
ველოს დიდი ლომი კვდება, — სიმართლიედ მო-  
გვჩვენებია, ეტვის შეუპყროს მთელი საქართვე-  
ლოს გონება, მართლსა ხომ არ წახდა საქართ-  
ველო საუკუნოდო! იყო ერთი, უკანასკნელი  
შავი დრო, იოდეს საქართველოს ლომი პოლი-  
ტიკურად მოკვდა, დამარხა რა თვისივე ხელით  
თვისი საკუთარი თავისუფლება, დამოუკიდებ-  
ლობა, და შემდეგ, მთელი ასი წლის განმავლო-  
ბაში, მთელი მისი არსება მომაკვდავე სულისა  
ლაფავდა. — მაგრამ ამ შავ დროებზედ უფრო  
მჭერმეტყველოურად, უფრო მდებრად და უფრო  
კანდიერად ილია ჭავჭავაძის მკვლევლებმა ჩამო-  
გვძახეს ყურში მთელ საქართველოს, — საქართ-  
ველო, ეს დიდი ლომი, მართლსა მოკვდა, —  
მოკვდა წნეობრივად, და ეს სიკვდილი მისი სა-  
უკეთესო ძის, მისი დიდების იერაგულად მოკვ-  
ლით გამოიხატა!

ერთ დროს ჩვენც იცხადით იერი, ჩვენც შევა-  
დგენდით კაცობრიობის ნაწილს, ჩვენც გვჭონ-  
და ფასი და ხალხს გვძახდენ. ჩვენი კულტუ-  
რა, — ჩვენი მწერლობა და მწიგნობრობა, მეც-  
ნიერება, სიტყვა-კაზმული ლიტერატურა და

სხვა, — ჩვენი საზოგადოებრივი სიძლიერე, —  
განთქმული იყო არა მარტო კავკასიაში, არა-  
მედ კავკასიის გარეშეც. ჩვენი, „გურჯაოსტანის“  
სიძლიერე თავზარსა სცემდა ირგვლივ — მომდ-  
გარ მრავალ მტერს, და ჩვენც ვიცავდით ჩვენს  
თავისუფლებას, მიწა-წყალსა და კულტურას.

მე-XI - XII საუკუნეებში საქართველო სიმდი-  
დრით, სულითა და გონებით გაბრწყინებული  
იყო, საქართველოს მდიდარმა კულტურამ, ქა-  
რთულმა ძლიერმა ენამ წარმოშვა ჩანგი რუს-  
თველისა და, სიციცხლით სავსენი, ჩვენცა  
ვცდილობდით საშვილიშვილოდ განგვემტკიცე-  
ბია ეს ჩვენი სულიერი და ნივთიერი სიძლიერე.

მაგრამ ველარ გავედელით მრავალ-ირიცხოვან  
მტერს, რომელიც ყოველი მხრით გარს გვე-  
სია. ვიბრძოლეთ საუკუნეთა განმავლობაში  
ბრძოლის ველზედ, მაგრამ მთელი აზიის ურ-  
დოებს გაკაჟებული საქართველოც ვერ გაუძ-  
ლებდა, და ჩვენც ივიწყეთ ნელ-ნელა დაკარგ-  
ვა იმ დიდი საუნჯისა, რომელიც მთელმა ურ-  
მა შეპკრება თავისი შემოქმედებით ეამთა ივი-  
თარებაში.

აღმოსავლეთით, დასავლეთით და განსაკუთ-  
რებით სამხრეთით მოგვადგა აჯარებელი მტე-  
რი, მოგვეწყვიტა საუკეთესო განათლებული ქვე-  
ყნები, შთანთქა ყოველი თავისი ექსტრობის და

ხა იერ გაუბედეს მისი დიდი დამსახურების გამო  
იმბერიის წინაშე. კოსტანტინეს ცოლს, იბერი-  
ძის ქალიშვილსაც თმა დაჰკვეციეს და პაფლა-  
გენში, სადაც მამულები ჰქონდა, გააძევეს, მის  
ვაჟი სტეფანე-კი გამოასაჭურისეს, რათა თესლი  
არ დარჩენოდა შინაგამცემელს. ასე ტრაგიკუ-  
ლად დასრულდა იბერიძის და მისი სიძის მცდე-  
ლობა იმბერიის საჭის ხელში ჩასაგდებად. ჯერ  
თავად სულ ეს არის, რაც გრ. იბერიძეზედ ვი-  
ციტ.

მაგრამ ირკვევა, რომ გრ. იბერიძე უთვისტო-  
მოდ მაინც არ ვარდასულა. დარჩენილია ერთი  
ბერძნული ტექსტი — კოსტანტინეპოლის სამ-  
სჯავროს (სასამართლოს) მიერ გამოტანილი გა-  
ნაჩენის 1049 წლის ანგარიში რაღაც პრასტენის  
კუთვნილების შესახებ. ეს ანგარიში შეუდგე-  
ნია, ჩანს თვითონ ფსელოსს, კოსტანტინეპო-  
ლის დიდ ფილოსოფოსს და ვადმოცემით ჩვენი

ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის მასწავლებელს  
(1018 - 1078). ამ განაჩენში დასახელებულია  
პროტოსპატარი და ევსტიარიტი (სამეფოს კა-  
რის მაღალი ხარისხები) ვინმე იოანე იბერიძე,  
შვილი - შვილი პროტოსპატარის სტეფანე იბე-  
რიძისა (იხ. Sathar, მესქენიკის ეივლიოთიკის,  
ტომი V, 1876 წ. გვ. 197 - 203). ეტვი არ უნდა,  
ეს იბერიძენი შთამომავალი უნდა იყენენ, პი-  
რდაპირ თუ არა პირდაპირ, ზემოდ დასახელებ-  
ული დიდი დომესტიკის, გრ. იბერიძისა. ფსე-  
ლოსი იოანე იბერიძეს უწოდებს ასევე მარტი-  
ვად იბერ-ს, ე. ი. ქართველს, რაც უდავოდ  
ცხად ჰყოფს, რომ ეს იბერიძენი ნათესაობით ქა-  
რთველები ყოფილან, რომელთა წინაპარი, რა-  
ღაც მიზეზის გამო, ბიზანტიას შეჰკედლებია  
და იქ პატივი, დიდება და სახელი მოუხვეჭია.

მ. შიქ. თარხნიშვილი

რომი. 9/3, 1952.

განადგურების ზღვაში და შესამოკლას, შესუსტა საქართველოს სიცოცხლე.

მაგრამ მაინც ეცობოდილით და ირადაც იმედით აღსავსენი დანაზრჩენ ჩვენ დიდებას, მიწა-წყალსა და კულტურასა მაინც ვირჩენდით. ასე მომდინარეობდა ჩვენი ისტორია მეთვრამეტე საუკუნის დამოუკიდებელი, და ეს ისტორია ერთი ხანგრძლივი, საუკუნოებითი წამება იყო ქართველი ერისა, ჩვენი მსუღმწევი ეჭვი იყო, — საქართველოს დიდმა ლომმა მტრის შიშის ზარის დამცემი ღრისლი შესწყვიტა?

დასუსტებულებმა, დამცირებულებმა და შინაური უთანხმოებითა და მტრობით დაღლილებმა მოეხაწიეთ მე-XIX საუკუნის კარადღე. იმდენი სულიერი ძალაც აღარ შეგვეწედა, რომ სურვილი, ძველებური გაყვაცური ფოლადის სურვილი მაინც შეგვჩინებდა ბრძოლის განგრძობისა.

თუმცა მთელი საქართველო შეიძრა, ოდეს სცნა სურვილი ერეკლე მეფისა, საქართველო რუსეთისათვის გადაეცა, თუმცა საქართველოშიც გამოჩნდნენ დემოსტენები, რომელთაც სურდათ განეხორციელებათ დიდი ხნის იდეალი საქართველოს კვლავ გაერთიანებისა, მაგრამ „ირაკლის დიდი ხანია გადაეწყვიტა ბედი ქართლისა“, — და არა მარტო ირაკლის, არამედ მთელ მაშინდელ თავად-აზნაურობას, რომელიც განაგებდა საქართველოს ბედ-ილბაღს, — და საქართველომაც თავისი ხელით გამოიჭრა ყელი რუსეთის ტახტის წინაშე. მთელი ჩვენი პოლიტიკური უზნეობა, მთელი ჩვენი სულიერი დაღლილობა მაშინ გამოჩნდა. არსებითი ძროტესტი ხალხის მხრივ, არსებითი ძხილი „ქართველო ხელი ხმალს იკარ!“ — გარდა თავ-განწირულ ბატონიშვილთა, რომელთაც ჩვენი უპირველესი თავადები მგლებივით დასდევდნენ დასაჭერად. ხოლო როდესაც დამკვიდრდა რუსის მთავრობა ჩვენში და შეუდგა ჩვენი ცხოვრების განადგურებას სკვითური ვერაგობით, მაშინ იკბნა ხალხმა თითხედ, მაშინ მისწდნენ ხმალს, მაგრამ გვიანდა იყო, და იმ დიდმა და პატარა აჯანყებებმა, რომლითაც სავსეა მე-XIX საუკუნის ჩვენი ისტორია, ველარ განდევნა ძლიერი მტერი, რომელიც მთელი თვისი უკულტურობითა და ცელსურობით დაგვაწვა თავზედ.

ჩქარი ნაბიჯით მთელი საქართველო ბრწყინვალე კულტურიდან გაველურებადის, სრულ დეკადანსამდის ჩამოეშვა მე-XIX საუ-

კუნეში, მაშინ როდესაც სხვა დამოუკიდებელი ერები, ან ის ერები, რომლებმაც მოასწრეს მტრის კლანჭებიდან თავის დახწევა, წინ მიდიოდნენ და მე-XIX საუკუნის ბრწყინვალე შემოქმედებაში მონაწილეობას იღებდნენ.

მე-XIX საუკუნის პირველი ნახევარში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენში აჯანყებამ უნაყოფოდ ჩაიარა და საქართველოს უფრო მეტი განადგურებით ვათავდა, ჩვენი დაღარება უმწვერვალესი ხარისხისა იყო. ჩინ-მენდლებით შეიმოსა მთელი ბრწყინვალე წოდება, ინტელიგენცია თითქმის სულ არ იყო, და ჩვენი მწერლობა ოდნავდა ბეუტავდა, ისეც იმ ჩინოსანთა კალმის ქვეშ! თუმცა გრიგოლ და ცახტანგ ორბელიანებმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა და სხვებმა დიადი, გენიოსური შემოქმედებითი ნიჭი გამოიჩინეს, ენის სიმდიდრე, ჩვენი ენის საუნჯე თვალ-წინ გარდაგვიშალეს, მაგრამ მათ მაინც ვერ შეჰქმნეს ეპოქა ჩვენს ლიტერატურაში, შემოქმედება მათი სიდიდით ვერ იყო ძლიერი, ამას ჩვენი დაბეჩავებული ცხოვრებაც ვერ უწყობდა ხელს, — და ამიტომაც ისინი ჩვენი ახალი მწერლობის წინამორბედებად უნდა ჩათვალონ მხოლოდ, და არა შემოქმედებად.

მაგრამ დადგა მესამეც წლები, ის ხანა, როდესაც ბარბაროსულმა რუსეთმაც გაიღვიძა, რათგან მთელმა კაცობრიობამ ამირანისებური სიძლიერით დიდი ნაბიჯი წაისდგა წინ, და ჩვენს ქვეყანასაც მოხვდა ამ საყოველთაოდ აღელვებული ზღვის ტალღები. ჩვენი ცხოვრებაც შეიძრა, შეტოკდა, და ამ ახალ მოძრაობას თავისნი გამომხატველნი უნდა გაჩენოდნენ. გაჩნდნენ კიდეც. ჩვენშიც დაიბადნენ: აკაკი წერეთელი, სერგი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი და სხვანი, და ამათ იკისრეს ხელმძღვანელობა ჩვენი ცხოვრებისა. აღორძინდა ჩვენი ლიტერატურა, აყვავდა ჩვენი პოეზია, გაჩნდა პუბლიცისტიკა, გაჩნდა ახალი წესები ლიტერატურული შემოქმედებისა, — და ჩვენც ცოტათი მაინც გავერიეთ კაცობრიობაში ამ მწერალთა და მოღვაწეთა წყალობით. და სწორედ ილია ჭავჭავაძე იყო პირველი იმით შორის, — ჩვენი საუკეთესო პოეტი, რომანისტი, პუბლიცისტი, ეკონომისტი, ასე გასინჯეთ სოციოლოგიც.

ენა მკვდარი და მხოლოდ რაოდენიმე „წინამორბედთა“ პირში მტყველი, ენა მდიდარი, მაშინ დაქარგული ჩვენი ერის „განათლებულთა მიერ“ ისე ლაჩრულად, რომ ლაპარაკსაც



ალასი კადრულობდენ ქართულად, ენა, რომელიც ათასი წლობით შევიწახეთ და შევთა დროთაც ვერ გადაგვაფიწყეს, აღადგინეს ზემოხსენებულმა საქართველოს შეიღებმა, და ილია ჭავჭავაძე პირველი იყო, რომლის პირისაგან მოგვესმენ მძლავრ ქართულად ნათქვამნი, სამხავალითონი, უმცენიერესნი თხზულებანი მისნი.

ჩვენ ქვეყანას ათასი ვასაჭირი ადგა, კაცი არავინ იყო ხმის ამომღები ყველა საჭირობორტო საკითხებზედ, და ილია პირველი იყო, რომ მეცნიერების იარაღით აღჭურვილი სწყვეტდა რთულ პრობლემებს ჩვენი ცხოვრებისა თავისებური სიღრმით და იმავე უცენიერი ენით, რომელიც მან ვაგვაგონა თავის ლიტერატურულ ნაწარმოებებში. ილია იყო შეუღარბელი პუბლიცისტი. ილია იყო გლახა მუდმივი მიგობარი, და იგი ამ მიგობრობას ხატავდა როგორც „გლახის ნამბობში“, „ოთარანთ ქვივიში“, ისე ზატონ-ყმობის, მონობის წყელვა-კრულვაში და ფმობაში, — როგორც საჯარო კრებებზედ, ისე თავის პუბლიცისტურ ნაწარმოებებში. იგი მუდმივი დამცველი იყო შრომის ინტერესებისა, და მათნ როდესაც საუკეთესო დემოკრატიებიც კი მთელი ევროპისა პარიზის კომუნას უშვერად, ურცხვად და ცინიკურად იხსენიებდენ, — ილია მის დამცველად, მისი დიდების ქართულ ჩანგზედ მომღერლად გამოვიდა ჩვენში. ეს რა არის, — თვით სოციალიზმის პრინციპებიც კი არის ვატარებელი მის მრავალ თხზულებაში. „შრომის ახსნა“, — აი რა იყო ილიას იდეალი.

საქართველოს დახეჩავებულ საზოგადოებას ორგანიზაციები მოუძებნა. ილია ჭავჭავაძე იყო სწორედ ის ადამიანი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მათ შექმნაში და მათში მუშაობით. მართო ბანკში და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაში რამდენი ენერჯია ჩაჰკლა ილია ჭავჭავაძემ ქართული საზოგადოების აღსაორიხებლად, სამხავალითონა და განსაცვიფრებელი, თუ დაუკვრდება ადამიანი და ღირსეულად დააფასებს ილიას შრომასა და ღვაწლს.

დიად, ილიას ყოველმხრივი მოღვაწეობით გაცილებით მაღლა იდგა ყველა თავის თანამედროვეებზედ და თანამოღვაწეებზედ, — თავისი მრავალ-ფეროვანი ნიჭითა და ყოველმხრივი შემოქმედებით.

მაგრამ მე ილიას უწინარეს ყოვლისა ვაფასებ როგორც მამულიშვილს. ის იყო მართლაც საქართველოს ფუძე მთელი ნახევარი სა-

უყუნის განმავლობაში. გრიგოლ ორბელიანი ამბობდა ძველ ქართველ ვაჟკაცებზედ: „ვაი მას მტერსა, ვის ანუ, კლდენი, ან ტყეთა სიღრმე არ დაჰფარავიდნენ, ვითარ მურღულეებრ ტრედთ შევარდენნი მიცესეოდნენ და შემუსრვიდნენო!“ ილია სწორედ ასეთი მამულიშვილი იყო ჩვენ მოქალაქობრივ ცხოვრებაში. ვაი მას მტერსა, ვის ანუ ბოდიში, ანუ იეზუიტობა არ დაჰფარავდა, — ვით ვეფხვი ილიას მივარდებოდა მას და შემუსრვიდა თავისი ცოდნით, ლოლიკით და, — რაც უფროა ძლიერი, — სიმართლით, რათგანაც ილიას არა ჰქონდა ჩვეულებად მტერს გამოჰკამათებოდა, თუ მის სიტყვებში სიმართლესა ჰხედავდა. განსაკუთრებული რისხვით ილია მოეცილინებოდა ხოლმე შინაურს მტერს, რომელიც ცხვის ტყავში გამოსხვეული შინ იეზუიტობდა და თავს იკატუნებდა, გარეთ კი ლომობდა და საქართველოს გაბიძგებებისათვის არაფერსა ზოგავდა. „მტერისა შინა ყოლასა ლომისა გზასა ზედა წოლა სჯობიო“, იტყვიდა ხოლმე ილია ძველ ვაჟკაცთა თქმულს, და მართლაც იქნა გაუძღვებდა მის დიალექტიკას, მის შეუბრალებელ, სწარე დაცინვას და მძიმე მსჯელობას, რომელიც ვულკანის ჩაქურჩვით სცემდა თავში მტერს და მტერად აქცევდა მის სუსტსა და იეზუიტურ არგუმენტებს. მასთანაც შეუღარბელი ორატორი, იგი იყო ჩვენი პირველი მამულიშვილი, მოქალაქობრივ ვაჟკაცობით და სიბრძნით ჩვენი ციცირონი, „მამა ჩვენი სამშობლოსა“. და აკი მისი ბედიც ზედა წილად! ჰოი ისტორიავ, საკვირველი არიან საქმენი შენნი!...

და ეს ილია ჭავჭავაძე, რომელიც შეუღარბელი პოეტი იყო, შეუღარბელი პუბლიცისტი და ჩვენი პირველი ეკონომისტი და სოციალოგი, პირველი საზოგადო მოღვაწე, პირველი მამულიშვილი, რომელსაც ირთადერთსა ჰქონდა სული თავისუფალი სრული ადამიანისა იმდენ ლაჩართა და მონური სულის პატრონთა შორის, — ეს ილია ჭავჭავაძე იდეს კუმობი დეეს მთელი საქართველოს წინაშე, ქართველის ხელით განგმირული, ჩვენდა სასიოცხოდ, სატირლად და სავალოლოდ!

თურმე სული ტყუილი ყოფილა ჩვენი იმედი, რომ ცოტათი მაინც წინ წავედით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, სწორედ ისეთი კაცების წყალობით, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე! სული ტყუილი ყოფილა ჩვენი ზნეობრივი პროგრესისი, თურმე კიდე უფრო დაცემულ ვართ!



კაცი, რომლისათვისაც ერის ხანგრძლივი სა-  
მსახურისათვის იუბილურ უნდა გადაგვენდა,  
დაფნის გვირგვინით უნდა შეგვეცქო მისი შუბ-  
ლი, ტრიუმფით უნდა შემოგვეყვანა დამსწრისა-  
ლი მცხოვანი ჩვენს სატახტო ქალაქში, ტყვიით  
გავვამირეთ, ეკლის გვირგვინი დავადგით, და  
მისი კუბო შემოვიტანეთ იღეს აქ, ჩვენდა სა-  
უკუნო შესარცხვენად!

ვაგლახ, ბედშავო საქართველო! ვინ რას იტყ-  
ვის, რომ გაიგებს ჩვენს ასეთს საქციელს, ვინ  
რას იტყვის, რომ გაიგებს, ვინ მოვკალით, ვინ  
დავმარხეთ ჩვენივე ხელით ტყვიით განგმირუ-  
ლი! — საქართველოს ქრი, ლაჩარი, ზნედაცე-  
მული, განრწნილი, უგრძობელი, რომელმაც  
მთლად დაჰკარგა კაცთა სახე, — ამ ერის  
თვით მოჰკლა თავისი საუკეთესო ძე და ყოვ-  
ლად უგვანონი, უმგავსონი და სულელნი: და-  
იტოვა თავისი ცხოვრების წინამძღოლებდათ,  
— ამ რას იტყვიან! და მართლაც რას უნდა ვა-  
მოვლოდეს ადამიანი იმ ერისაგან, რომელსაც  
მონური სილაჩრე შეჰპარვია, რომელიც ეს სამი  
წელიწადია გაჰყვირის ძლიერად, გაჰყვირის შა-  
ვი ზღვის ნაპირებიდან დაღესტნის საზღვრებამ-  
დე — ძირს ჩვენი საკუთარი თავისუფლებათ!...  
მართლაც და „სხვა საქართველო სად არის, რომ-  
მელი კუთხე ქვეყნისა, ერი დაბუნი, ლაჩარი,  
მორჩილი თავის ბედისა. შავთა დროთა სრულად  
შესცვალეს მის გული ადამანტისა, აღარც მხნე,  
აღარც მღერალი, მოძულე თავის მიწისა“, —  
და თავისი წარსულისა, თავისი კულტურისა,  
თავის საკუთარ შვილთა, რომელთაც შუბლში  
ტყვიით უმასპინძლდეს!

ახლა რა უნდა ვქნათ? — უპირველეს ყოვ-  
ლისა მე არ ვეთანხმები აქ წარმოთქმულ სიტყ-  
ვებს, — ილიას ხსოვნას „შურის ძიება არ ეკად-  
რება!“ კი ეკადრება! ამ სირცხვილს მხოლოდ  
შურის ძიებით გავაქარწყლებთ, შურის ძიება  
მთელი ერისა იმ უმგავსოთა წინააღმდეგ, რო-  
მელთაც იღეს მთელი საქართველო ძაბით შე-  
მოსეს და მთელი ქვეყანაში გააბიძგრეს, ერი  
თად — ერთი საშუალებაა მთელი ერის გასამარ-  
თლებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყვე-  
ლანი დამნაშავენი იქნებით ილიას წინაშე! ყო-  
ველივე სხვა ერი ჩვენს ალაგას ამასვე ჩაიდენ-  
და. ჩვენი სირიუმე ჩვენი ჰუმანიური თვისების და  
დიდ — სულთვნობის დამამტკიცებელი კი არ იქ-  
მნებოდა, არამედ ჩვენი სისუსტისა და გულგრი-  
ლობისა!

შაგრამ ასეთი შურის ძიება ვერ დააკმაყოფი-

ლებს ჩვენს შეურაცხყოფილ თავმოყვარეობას.  
ჩვენ უნდა ყველამ ჩავინერგოთ გულში ის მკნე-  
ბანი, რომელიც ილიამ თავის თხზულებებში  
გაატარა და გვიანდერა: სიყვარული საქართ-  
ველოსი, იმ განყენებული „საქართველოსი“,  
რომელიც აგრეთვე მისი თანამოღვაწის, აკაკის  
გულსაც მუდამ ატოვებდა, სიყვარული ჩვენი  
მიწა — წყლისა და მისი შენახვა, რაიცა ილიას  
აზრით უმთავრესი საშუალება იყო ჩვენი ქრის  
სიცოცხლისა, სიყვარული ქართველი ხალხისა,  
რომლისა გუშავად მუდამ უნდა იდგეს ყოველი  
ჩვენგანი, რომლის უფლება არავის უნდა შე-  
ვალახვინოთ, ისე, როგორც ილია არავის აძლე-  
და ამის ნებას. ამ რა არის ილიას ნაანდერძე-  
ვი. შევქმნათ ჩვენც ისეთი ქართული საზოგა-  
დოებრივი წრე, — სალი და ზნეობით აღმალღე-  
ბული, რომელშიც შესაძლებელი აღარ იქმნება  
ასეთი დანაშაული, როგორსაც ახლა ვხედავთ.  
მხოლოდ ეს დაგვაკმაყოფილებს, ეს მოგვბანს  
მოცხებულ ჩირქს, ამით უკვდავყოფთ ილიას  
ხსოვნას.

შაგრამ ამ დიდ საქმეს ვინ იციან აღვასრუ-  
ლებთ თუ არა! ჯერ — ჯერობით კი ჩვენი და-  
ცემა ილიას მოკვლამ გაამოიხატეს, ამ უსაში-  
ნეოესს დანაშაულში, რომლის იუმსგავსოესიც  
კაცობრიობას არა უნახავსა. ვინ იციან, როგო-  
რი იქნება ჩვენი მომავალი, აწმყოში კი კარგი  
რაც იყო ამ კუბოში ასვენია, ჩვენ ხელთაგა-  
ნვე დათრგუნვილი და შევიწებული! დაგვჩა  
მხოლოდ სასოწარკვეთილება და ძლიერი ეჭვი  
ჩვენი მომავლისა!...

შენ კი, დიდებული ადამიანო, ივერიის ტან-  
ჯული ძე, გვაპატივე აქ შეკრებილ სრულიად  
საქართველოს, რომ სწორედ იმ ადგილას მოგო-  
სპო სიცოცხლე ჩვენმა ზნეობით დაცემამ, სადაც  
შენ გულამოხცვნილი სტიროდი „ბედსა ქართ-  
ლისასა“, გვაპატივე, რომ შინს შუბლს ტყვია ვა-  
რგუნეთ წილად დიდების გვირგვინის მაგივრად,  
გვაპატივე, რომ ჩვენ სატახტო ქალაქში ტრიუმ-  
ფის მაგივრად სამგლოვიარო პროცესია გაგი-  
მართეთ! გვაპატივე, — ეს შეეფერება შენს  
დიდ — სულთვნობას! იქ, ზევით, პოეტთა მიერ  
შემკულ, მღუმარე მთა — წმიდაზედ განგისვენ-  
ებთ, ჩვენ მცხოვან, ტანჯულ ისტორიულ დედა-  
ქალაქ თბილისს რომ ბატონობს იღუმალად! მა-  
გრამ ვაგლახ ჩვენ, რომ „იქიდან ვიღარ გადმო-  
ჰხედავ შენსა სამშობლო მხარეს და ტკბილი  
ჭიკჭიკით ვიღარ დაატკობ მისს არემარეს“, ვე-  
ლარ იხილავ მომავალში შენსა ივერსა, „ფენიქ-



### საზირო ბანამარტმბა

შევიცქარიაში დაარსდა ახალი ჟურნალი «Das eigentliche Leben». გამომცემელია ცნობილი გერმანელი მწერალი: არნოლდ კრიგერ. ამ დღეებში მივიღე მეორე რეველი ჟურნალისა. მითავსებუელია ზოგიერთი ადგილი ჩემი ნოველისა, რომლის ქართული ტექსტი ჩვენი ჟურნალის უკანასკნელ ორი რეველში დაიბეჭდა. ნათქვამია: შემდეგ კიდევ მეტი იქნებაო. გამომცემელს ეს ჩემთვის წინასწარ არ უცნობებია. მოყვანილ ტექსტს თავში დართული აქვს შესავალი: მოკლე ცნობა ჩემს შესახებ. ხოტბა, ხოტბა, ხოტბა. ხოლო ამ ხოტბაში ფაქტიური სინამდვილე შიგადაშიგ სრულიად გაღალახულია.

პირველი. სწერია: თუმცა რობაქიძის ხელოვნებამ სრულიად გაარღვია ჩაჩოი საბჭოეთის ოფიციალური ლიტერატურისა, ავტორს მაინც არუენეს სტალინის პრემიაო. (მეორე ნახევარი ცნობისა უფრო მძაფრადაა გამოთქმული.) დამწერმა ალბათ ისიც არ იცის, რომ ჩემს დროს საბჭოეთში ასეთი პრემიის ხსენებაც არ იყო.

**სებრ განახლებულსა, თუ მომავალმა ეს ბედი კიდე გვარგუნა, მაგრამ აწმყოში მაინც ბედნიერი იქნები, — ვეღარ იხილავ აგრეთვე იმ სიწითლეს სირცხვილისა, რომელიც აწ დაცემულმა ივერმა ჭამა შენი წამებითა და რომლის ჩირქსაც იგი დიდხანს ვერ მოიბანს.**

ეს სიტყვა, პირდაპირ სტამბითგან გამოსული, უკორექტუროდ, შეცდომებით საესე იყო დაბეჭდილი ილიას დასაფლავებისას წარმოთქმული სიტყვების კრებულში. მის შემდეგ დიდმა ხანმა განვილო. მასწინდელი ნათქვამიდან გამწარებული სახლგაზრდა პატრიოტისა ზოგი რამ დღეს უცნაურად მოგვეჩვენება, მაგრამ ბევრი ქართველის სურვილი იყო დიდი ხნითგან წაეკითხა სწორი ტექსტი იმ საპროგრამო სიტყვისა, რომელმაც, როგორც გრიგოლ რობაქიძე ამბობს, შინაგანად შეაჩხია მასწინ მთელი საქართველო.

ჩვენ სიამოვნებით ვასრულებთ მკითხველთა სურვილს და ვათავსებთ ამ სიტყვას, რომელიც მასწინლად დამახინჯებული მხოლოდ მისალოვეებით იქმნა აღდგენილი ჩვენი თხოვნით მის წერეთლის მიერ, რამდენადაც მას კიდევ ახსოვდა თვისი მასწინდელი ნათქვამი. რედაქცია

მეორე. სწერია: რობაქიძე იყო ერთადერთი მწერალი, რომელსაც სტალინმა პერსონალურად ნება დართო ხანგრძლივ დარჩენილიყო უცხოეთშიო. რობაქიძე აღარ დაბრუნდა უკან, თავისუფლება ირჩიაო და სხვა. მე რომ უკან არ დაბრუნებულვარ, ეს ყველასათვის, ვინც კი მიცნობს, ცნობილია. ხოლო ისიც ცნობილია, რომ „იმ ნებართვას“, მზავსაცურამ იმისა, ადგილი არ ჰქონია.

წავიკითხე ესა და პირდაპირ გაშტერებული დავჩი. გამომცემელს მოეთხოვე სასწრაფოდ აღადგინოს სიამართლე.

ორიოდე დეტალია კიდევ, შესასწორებელი, ბიოგრაფიული თუ ლიტერატურული სახისა. მაგრამ შეცდომებს იქ მაინცა და მაინც დიდი მნიშვნელობა არ აქვთ.

გრიგოლ რობაქიძე

ქენევა, 5. V. 1952.

### გრიგოლ რობაქიძეს

ბაღდათის, ტირის, გააცოცხლე ძველი ოსტატი, მორჩილი ხელი ჰკალავს ზურმუხტს, ალმასსა და ლალს.

ტიტელ სირქენას და მოთენთილ მადონას დალალს ყველაფერს იტყვეს შენი ლექსი მონადამანტი.

ჭიხინით მოჩხის და მორეკავს თეთრი ცხენის რახტი,

შეადლის სიციხეში გაალებულს ვისმენთ მზით დამთვრალს,

მაგი, ჟონგლერი თვალს აყოლებ ვარსკვლავთ კარნავალს, საქართველოს ბედს დაფარე შეგნების სალტე.

ხარ შეორევერი მონათლული დანტეს ემბაზში, იყავი მეფე — ზეცას გიწერს ბედის მწერალი დაცემის ორმო და აღდგომის თეთრი მწვერვალი.

დიდების ცეცხლი მარად გინთებს სამეფო კარავს,

გამარჯვების მზეს უბედობა ვეღარ დაფარავს. პოეტს, მეგობარს მამაყებ მეღეჭეთი ბაში.

ტ. ტაბიძე  
**Djobadze's**  
Library

1916 წ. მისი.

“ვეფხის - ტყაოსნის“ ტექსტისათვის \*)

I

შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილების „ვეფხის ტყაოსნის“ საკითხი მრავალია, რთული და საინტერესო, და დიდი ხანია სწარმოებენ ამ საკითხთა კვლევა. ამ საქმის აღსრულებაში რასაკვირველია ქართველ მეცნიერთ ადევს უდიდესი ეალი, და ბევრს მათგანს ეს ეალი ღირსეულადაც აქვს აღსრულებული. — პრობლემები „ვ. ტ.“-ისა მრავალი თვისებისა არის: ვინაობა რუსთველისა, დრო „ვ. ტ.“-ის დაწერისა, კულტურულ - ისტორიული და ლიტერატურულ ისტორიული მნიშვნელობა მისი, ეპოქა რუსთველისა, მსოფლიოს ზედვა მისი და სხვ. და სხვ. — ზოგი ამ პრობლემათგანი ძნელი საგანია კვლევისა და ძნელად გადასაწყვეტი, რათგანაც მცირეა მასალა გადაჭრილი პასუხისათვის, როგორც მაგალითად საკითხი რუსთველის ვინაობისა და ცხოვრებისა. ზოგი დარგი რუსთველოლოგიისა კი უფრო მდიდარია კარგი ნაყოფით კვლევისა, რათგანაც თვით „ვ. ტ.“-ის შესწავლა მიმცემი მკვლევარისათვის სასურველი შედეგისა, — თუ რასაკვირველია მკვლევარი კვლევის ნიჭით არის დაჯილდოვებული.

„ვ. ტ.“-ის მკვლევართა შორის პირველად უნდა ვახსენოთ: ნ. მარრი, ი. აბულაძე, ა. სარაჯიშვილი, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, ზ. ავალიშვილი, ვითარცა მკვლევარნი „ვ. ტ.“-ის უმნიშვნელოვანეს საკითხთა. ღვაწლი ზოგის მათგანის მეტია, ზოგის ნაკლები, „ვ. ტ.“-ის პრობლემები ერთობ არც ერთს მათგანს არ ამოუწუქრავს, ზმირად ივინი სრულიად შემცდარ აზრთ ვამოსთქვამენ, მეთოდიც მათი ზმირად უფარგისა, არგუმენტებიც არა - საქმარისა და სუსტი, უცნაურიც კი, წმიდა ფანტაზიასაც დიდი ადგილი უჭირავს მათს მსჯელობაში, და ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტის ცდა მათ მიერ დაგონებულიც უნდა იქმნას, ვითარცა უცნაური-სა და არ - არსებულისაც კი, და სხვა. — მაგრამ ივინი ნამდვილნი დამწყებნი არიან „ვ. ტ.“-ის ფართე და ღრმა მეცნიერული კვლევისა და ამიტომ მათ მიმართ მადლობის გრძნობით უნდა იყოს აღჭურვილი ყოველი ახალი მკვლე-

ვარი, მიუხედავად მათი მკაცრი კრიტიკის ვალდებულებისაც, ვინაიდან ძველ მკვლევართა შეცდომებსაც კი მნიშვნელობა აქვს ახალთათვის, — მათ გასაფრთხილებლად მანიც.

ხოლო არის ერთი საკითხი რუსთველოლოგიისა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიეცეს „ვ. ტ.“-ის ყველა უმთავრეს საკითხთა გადაწყვეტისათვის, თუ თვით იგი სწორად გადაწყდება, — საკითხი „ვ. ტ.“-ის ტექსტისა, რომელსაც მეციცავენ ვახტანგ სჯულ-მძებლის გამოცემა 1712 წლისა და მრავალი ხელთ-ნაწერი „ვ. ტ.“-ისა. ეს ხელთნაწერები „ვ. ტ.“-ისა, უმეტესი ნაწილი მე-XVI და მე-XVII საუკუნეთა, საესეა დამატებებით და ჩანართებით, აგრეთვე სიტყვები ტექსტში დამახინჯებულია დამწერთაგან, შეუსაბამო და გაუგებარი, ან ცხადად განგებ შეცვლილი ნამდვილ ტექსტთან შესაწყობად ჩანართისა. თვით ვახტანგის ტექსტი, რომელიც უძველეს ტექსტთა მიხედვით უნდა იყოს შედგენილი, თავისუფალია დამატებთაგან, ხოლო არა ჩანართთაგან, და საესე მიუღებელი სიტყვებითვე. — ეს წვალება „ვ. ტ.“-ის ტექსტისა საუკუნეთა განმავლობაში ხდებოდა ვადამწერთაგან და რედაქტორთაგან სხვა და სხვა მიზნით, და აღდგენა თვით რუსთველის ტექსტისა, განწმედა მისი დამატებულ და ჩანართ ტექსტთაგან, აღდგენა დამახინჯებულ და განზრახ შეცვლილ სიტყვათა, — ერთობ განზობა შოთა რუსთველის უკვდავი ქმნილებისაგან მტვერისა, რომელიც მას მოსდებია საუკუნეთა განმავლობაში, და მისი მიახლოებით მანიც წმიდა სახით წარდგენს მკითხველისათვის, იმ ვარგანი ფორმით, რომელიც ახალი დროისათვის არის მისაღები, — ეს არის საქმე ტექსტის კრიტიკისა და გამოცემისა, და ამ მხრითაც ჩვენ მეცნიერთა ღვაწლი მნიშვნელოვანი იყო. აქ უნდა მოვიხსენოთ პირველად ა. სარაჯიშვილი, ი. აბულაძე, ნ. მარრი და პ. ინგოროყვა. ხოლო რაოდენადაც ღვაწლი ს. კაკაბაძისა „ვ. ტ.“-ის ტექსტის გამოცემისა და მის დიდ საკითხთა კვლევისა ზოგჯერ სამართლიანად, მადრამ ზოგჯერ ძლიერი სიფრთხილით უნდა იყოს დაფასებული, ზმირად უნაყოფოდ აღსრულებული, როგორც, მაგალითად, მისი თეორია „ვ. ტ.“-ის დაწერის დროისა (მეთოთხმეტე საუკუნეში!), და მის მიერ ახსნა „ვ. ტ.“-ის მრავალ

\*) ამოღებულია დასაბუტად გამზადებული შრომიდან: „ვეფხის ტყაოსანი“. წიგნი პირველი, ტექსტი და ჩანართნი, აღდგენილი მიხეილ წერეთლის მიერ. მიუნხენი, 1950.

სიტყვათა (იხ. მისი „ვეფხისტყაოსანი“, გამ. პირველი, თბილისი 1913 წ., და გამ. მეორე, თბილისი 1927), იმოდენად მნიშვნელოვანად უნდა ჩაითვალოს ღვაწლი ი. აბულაძისა, განსაკუთრებით ვითარცა „ვ. ტ.“-ის პირველი ნამდვილი კრიტიკულად დამუშავებული ტექსტის გამომცემლისა და მისი ლექსიკის მის წინამორბედებზედ უკეთესი მკვლევარისა (იხ. მისი „ვეფხისტყაოსანი“, გამ. 1914 წლ. და 1926 წლ., თბილისი).

„ვ. ტ.“-ის ტექსტის კრიტიკის კვალი არის თვით ვახტანგის 1712 წლ. გამოცემაში. თუმცა ამ უმოკლეს ვერსიას „ვ. ტ.“-ისა, როგორც სამართლიანად შენიშნავს პ. ინგოროყვა თავის „რუსთველისაში“ (I, თბილისი, 1926), სწორედ იმიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ მას შეუღწეობდა და დაუბეჭდია ეს უძველესი დამატებათაგან და ზოგი ჩანართისაგან თავისუფალი „ვ. ტ.“-ი, მაგრამ ვახტანგის გამოცემას მასზედ ეტყობა, როდესაც მას ხელთ-ნაწერთა ტექსტებს ვაძარებთ, რომ მას აქა-იქ გამოუტოვებია მის ხელთ მყოფ ვერსიაშიც არსებული სტროფები, რომელსაც ცხადად ეტყობა ჩანართობა. — დაბეჭდილნი გამოცემანი „ვ. ტ.“-ისა მეტყვამეტე საუკუნის განმავლობაში ვახტანგის ვერსიას წარმოადგენენ მცირედი შესწორებით და განსხვავებით. ამგვარად იქაც ჩანს ცდა ტექსტის კრიტიკისა ხელთ-ნაწერთა განხილვის შემდეგ. — ს. კაკაბაძის რედაქტორობით გამოცემა 1913 წ. თბილისში „ვ. ტ.“-ი ხელთ-ნაწერებში არსებული დამატებებით და ჩანართებით, მათი განწორებით კაკაბაძის მიერ ნამდვილად რუსთველისად მიჩნეული ტექსტისაგან, ხოლო 1927 წ. გამოვიდა მეორე გამოცემა მისი, კაკაბაძის მიერ ნამდვილადვე მიჩნეული „ვ. ტ.“-ი, მისი აზრით მხოლოდ ერთი დამატებით (ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა, წასლვა ინდოეთს და სხ.), რომელიც ყველა სხვა გამოცემელთა მიერ რუსთველის ნამდვილ ტექსტად ითვლება, და სიტყვათა აქა-იქ შესწორებით. ა. სარაჯიშვილის კვლევათა შემდეგ (იხ. მისი „ვეფხისტყაოსანი“ ყალბი ადგილები“, („მოამბე“ 1895-1901, თბილისი) და აგრეთვე მარის მიერ განხილვის შემდეგ „ვ. ტ.“-ის წინა-სიტყვისა და ბოლო-სიტყვისა. (= შესავლისა და დასასრულისა) (იხ. მისი *Тексты и роз.* XII, პეტერბურგი, 1900 წ.), კაკაბაძის შრომა ერთი ნაბიჯი იყო „ვ. ტ.“-ის ტექსტის კრიტიკის საქმისათვის გადამდებული, თუმცა მრავალი ჩანა-

რთი კაკაბაძეს მის ტექსტში დატოვებული აქვს და მისი ლექსიკონიც ამ გამოცემისა ყოველად მიუღებელია მკვლევარისათვის „ვ. ტ.“-ის ლექსიკისა. — ს. კაკაბაძემ თავისი „ვ. ტ.“-ნი, განსაკუთრებით მეორე გამოცემა, მრავალ ხელთ-ნაწერთა და ყველა ვერსიისათა შესწავლისა და შედარების შემდეგ მოგვცა. — 1926 წელს თბილისში გამოვიდა მე-26 გამოცემა ი. აბულაძის „ვ. ტ.“-ისა. იგი ახალი შემუშავებაა მის ძველ გამოცემასა (1914 წლ. და შემდ.), მას დართული აქვს ცარიანტები, ხელთ-ნაწერებში არსებული. ი. აბულაძეს არ შეუტანია დამატებანი. მისი ტექსტის საფუძველი ვახტანგის ვერსიაა, თავისუფალი დამატებათაგან, ხოლო ერთობ ეს ტექსტი შედეგია მის მიერ ხანგრძლივი შესწავლისა და შედარებისა აღმოჩენილ ხელთ-ნაწერთა და ყველა ვერსიისათა, როგორც ს. კაკაბაძის ტექსტი. ი. აბულაძე ყურად იღებს სრულიად სამართლიანად ა. სარაჯიშვილის კრიტიკასაც „ვ. ტ.“-ის ტექსტისა, აგრეთვე რასაკვირველია ნ. მარისა, და მის გამოცემაში უზვად არის გამოყოფილი ჩანართები, და აქა-იქ სიტყვებიც შესწორებულია ტექსტში. აქ ჩანს მისი ცდა „ვ. ტ.“-ის „განწმედისა“, თუმცა მას სრულიად არა აქვს პრეტენზია იმისა, რომ მან მართლაც საბოლოოდ „განწმიდა“ რუსთველის ქმნილება. აბულაძის გამოცემას ბოლოს აქვს დართული ლექსიკონი „ვ. ტ.“-ის უცხოთა და ძველად ვასაგებ ქართულ სიტყვათა, რაცა მკითხველს უადვილებს ტექსტის გაგებას. იგი ვაცვილებით უფრო კარგად არის დამუშავებული ვიდრე კაკაბაძის ახირებული ლექსიკონი. — 1934 წ. კ. ჭიჭინაძემ გამოსცა თბილისში თვისი „ვეფხისტყაოსანი“ მრავალი ჩანართით და ერთი ვრცელი დამატებით, რომელიც არ არის არც ერთ სხვა, დამატებათაგან თავისუფალ დაბეჭდილ გამოცემაში უწინარეს ჭიჭინაძის გამოცემისა, ხოლო რომელიც ჭიჭინაძეს რუსთველის ტექსტად მიიჩნია. მაგრამ მას აუარებელი ჩანართიც რუსთველის სტროფებად მიიჩნია, და მართლაც საკვირველია, რომ „ვ. ტ.“-ის შემსწავლელი და გამომცემელი ვერ ხედავდეს და ვერ გრძობდეს ამ ყოველად უშვერ და პოეზიასთან არავითარი საერთოს მქონე ლექსთა განსხვავებას რუსთველის სტროფათაგან, სხვა ცხადი ნიშნებიც რომ არ იყოს მათი არასინამდვილისა! — სიტყვათა შესწორება ტექსტში კ. ჭიჭინაძესაც აქვს ნაცადი, თუმცა ძლიერ

იშვიდათად. — ბოლოს, 1937 წ. თბილისშივე გამოვიდა ქართული უნივერსიტეტის გამოცემა „ვ. ტ.“-ისა პ. ინგოროყვას, ს. კაკაბაძის, ი. აბულაძის და სხვათა რედაქტორობით და თანამშრომლობით. ეს გამოცემა ტიჭინაძის გამოცემას უახლოვდებდა ზემოხსენებული დამატების ტექსტში შეტანით, მაგრამ ჩანართთა რიცხვი იქ უფრო მცირეა, ხოლო შესწორებულ სიტყვათა რაოდენობა — მეტი.

„ვ. ტ.“-ის არა-გამომცემელ მკვლევართა ღვაწლს ტექსტის დადგენისათვის ზოგჯერ სრულიად არა აქვს მნიშვნელობა, ზოგჯერ მხოლოდ იმ ადგილთათვის, რომელნიც განხილულნი არიან მკვლევარისაგან, ზოგჯერ კი დიდი, თუ მკვლევარს დასახული აქვს მიზნად მთელი ტექსტის კრიტიკულად განხილვა. მაგ. ზ. ივალისშვილის თხზულებას „ვეფხის-ტყაოსნის საკითხება“ (ბარიზი, 1931 წ.) უდიდესი მნიშვნელობა აქვს „ვ. ტ.“-ის კულტურულ-ისტორიულ და ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხთა გადჭრისათვის, მაგრამ არავითარნი ტექსტის კრიტიკისათვის. — ამ მხრით უფრო საინტერესოა შრომები ნ. მარჩისისა: „დასასწავლისა და დასასრულლის სტროფები“ შოთა რუსთაველის „ვ. ტ.“-ისა (რუსულად *тексты и роз. по арм-груз. филологии, XII*, პეტერბურგი, 1910) და „ქართული პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“ და ახალი კულტურულ-ისტორიული პირობებმა“, I და II (რუს., „უწყებანი სამეცნიერო აკადემიისა, პეტროგრადი, 1917 წ.), სადაც მას, გარდა კულტურულ-ისტორიულ საკითხთა განხილვისა, ტექსტის იმ ნაწილთა კრიტიკაც აქვს მოცემული, რომელნიც მას სჭირდებოდა მისს მსჯელობაში. — „ვ. ტ.“-ის ტექსტის კრიტიკის მხრით მარჩის შრომებზედ რასაკვირველია უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს პ. ინგოროყვას „რუსთაველიანას“ (I, თბილისი, 1926 წ.). ინგოროყვას განხილული აქვს მთელი ტექსტი „ვ. ტ.“-ისა, დამატებანი და ჩანართები სხვა და სხვა ავტორთა და სხვა და სხვა დროისა, და უძველესი ფენა პოემისა, რომელთაც მისი აზრით ვახტანგის ვერსიაშია წარმოდგენილი. ინგოროყვას რწმენით ვახტანგის ვერსიაც შეიცავს ოთხასამდე ჩანართს სტროფს და მხოლოდ მათი ჩანართობის დამტკიცების შემდეგ იქნება შესაძლებელი მიახლოვებით აღდგენა „ვ. ტ.“-ის პირვანდელი სახისა. — ეს ნაწილი ინგოროყვას წიგნისა საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს (გვ. 9-98). შეიძლება ავტორს კაცი არ დაეთანხმოს ბევრ საკითხში

და მისი დასკვნები არ გაიზიაროს, — მაგ. აღნიშნვა მის მიერ მიზნებისა, რომლითაც თითქოს ჩართულია „ვ. ტ.“-ში სტროფები რუსთაველის წინააღმდეგომ საპოლემიკოდ ან მის დასაცველად, და სხვ. პ. ინგოროყვას ასეთი შეცდომები აიხსნება, ჩვენი აზრით, მისი შემცდარი წარმოდგენით რუსთაველის ვინაობისა, ცხოვრებისა, მსოფლიოს-ხედვისა და ბედისა. მაგრამ რომ სტროფები ჩანართია, იმას ცხად-ჰყოფს ინგოროყვა, თუმცა „ვ. ტ.“-ის შესავლის ტექსტის კრიტიკა ინგოროყვამდის სხეულშიც სცადეს. ისიც მართალია, რომ ვახტანგის ვერსიაში რაოდენიმე ასეთი ჩანართი სტროფი მოიპოვება, — ე. ი. ვაკილებით მეტი, ვიდრე მაგ. ი. აბულაძეს ეგონა, — და ფრთხილ ყურად-საღებია იგრეთვე ინგოროყვას კრიტიკა არა მარტო ზოგიერთ ჩანართ ადგილთა „ვ. ტ.“-ის „დასასწავლისში“ და „დასასრულში“ და თვით მოთხრობის ტექსტში, არამედ მის მიერ აღდგენაც ვადაშწერთაგან დამახინჯებულ ან რედაქტორთაგან შეცვლილ ზოგ სიტყვათა, ხოლო მისი ცდა ზოგ სხვა სიტყვათა აღდგენისა ხშირად ძლიერ გაბედული და საფუძველს მოკლებულიც არის, ან მარჩის გადგენის შედეგი, და ჩვენთვის მიუღებელი. — ბოლოს კვლავ უნდა ვახსენოთ განსვენებული ა. სარაჯიშვილის ღვაწლი „ვ. ტ.“-ის ტექსტის კრიტიკის საქმისათვის. იმ დროს, როდესაც ჩვენ „სპეციალისტ“ მეცნიერთაც ამ დარგში არაფერი მნიშვნელოვანი ჰქონიათ გაკეთებული, „არა-სპეციალისტმა“ ა. სარაჯიშვილმა თვის თხზულებაში „ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები“ („მოამბე“, თბილისი, 1895-1901; „ძველი საქართველო“, ტ. IV, თბილისი, 1914/15) დაამტკიცა, რომ „ვ. ტ.“-ი შეიცავს აუარეებელ ყალბ ადგილს (გარდა იმ დამატებათა, რომელნიც ვახტანგისა და სხვა დაბეჭდილ გამოცემებში არც არიან და ისედაც არა-რუსთაველისად იყვნენ მიჩნეულნი). გასაკვირველია ნიჭი ამ არა-სპეციალისტისა დიდი ხელოვნებითი ქმნილების მთლიანად განცდისა, მის სიღრმეში ჩაწვდომისა, და მისი მეთოდოლოგიისა, რაითაც მან „ვ. ტ.“-ში ბევრი არა-ნამდვილი ნამდვილს გამოჰყო და ამით გახდა იგი ღირსეული წინამორბედი და გზის განმზადებელი შემდეგ მკვლევართა.

ზემოხსენებული ქართველ მეცნიერთა და მეცნიერების მოყვარულთ უნდა ვთმადლოდეთ „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკისათვის საფუძვლის ჩაყრას. ხოლო ეს დარგი რუსთავე

ლოლოლოგიისა არა მხოლოდ ძნელია, არამედ ერთ-  
 თგვარ საფრთხესაც წარმოადგენს მკვლევარი-  
 სათვის: გარდა იმისა რომ „ვეფხისტყაოსანს“  
 საქართველოში განსაკუთრებული პატივი აქვს  
 და განსაკუთრებული საყვარელით არის განს-  
 ჭვალული მის მიმართ მთელი ქართველი ერი,  
 და ამიტომ დაბეჭდილი „ვ. ტ.“-ში, რომელსაც  
 მკითხველი საზოგადოება მიჩვეულია და განს-  
 კუთრებით პატივს სდებს ვითარცა დაბეჭდილს,  
 ერთი სტროფის არა რუსთველისად აღსარებაც  
 კი დიდ ცოდვად ითვლება ახლაც და წინად კი-  
 დე უფრო დიდ დანაშაულად ითვლებოდა, არ-  
 უნდა დაგვაფიქვდეს ის, რომ წინათ მიცნირე-  
 ლი კვლევის და მიცნირულ აღმოჩენათა გასაგე-  
 ბად და დასაფასებლად საშუალო განათლების  
 მქონე ქართველი მომზადებული არ იყო, და  
 დღესაც, მიუხედავად ქართული ჟინერსიტეტის  
 უკვე ხან - გრძლივი მოღვაწეობისა, საკმარისი  
 არ არის ამგვარი მომზადება მისი. ამას უნდა და-  
 ვუმატოთ კიდე უცნაური პრეტენზია თვის ბე-  
 რი განათლებული ქართველისაც, თითქოს მას  
 შეეძლოს „ვ. ტ.“-ის გაგება ისე, რომ საჭირო არ  
 იყოს მისთვის არც საზოგადოდ ძველი ქართუ-  
 ლის ცოდნა, არც კერძოდ რუსთველის ენისა და  
 სტილის შესწავლა, თითქოს მეთორმეტე საუკუ-  
 ნითგან დღემდე ქართული არც კი შეცვლილი-  
 ყოს და რუსთველის ენასა და სტილს ორგინა-  
 ლობაც არ გააჩნდეს, და ადვილად წარმოვიდ-  
 გეთ, თუ როგორ შეხვდებოდა ბევრი ქართველი  
 „ვ. ტ.“-ის ტექსტის კრიტიკის დამწყებთ. და მა-  
 რტლაც, კარგად შესსოვს, თუ რა რისხვით ასე-  
 ნებდენ მრავალნი ა. სარაჯიშვილის „ვ. ტ.“-ის  
 ყალბად აღვილებს“ და შემდეგ ი. აბულაძის მიერ  
 ყალბად ცნობას „ვ. ტ.“-ში ჩანართ ადგილთა:  
 „ლამის მთელი „ვეფხისტყაოსანი“ გაგვიყალ-  
 ბონო!“ და სხვ. და ახლაც არ არის „ვ. ტ.“-ის  
 ტექსტის კრიტიკისი უზრუნველ - ყოფილი არა  
 მარტო ზეპირად აღფოთებულთა აღფო-  
 თებისა, არამედ აგრეთვე მომზადებულ კალ-  
 მოსანთა მკაცრი გამოლაშქრებისაგანაც, რომე-  
 ლნიც სპეციალისტ რუსთველოლოგებად სთვ-  
 ლიან თავს (მაგ. კ. ჭიჭინაძე), ან და რომელთაც  
 რწმენა აქვს, რომ მათი ფართო განათლება მათ  
 ნებას აძლევს, რუსთველოლოგიის ყოველ საკი-  
 თსზედაც ავტორიტეტულად იმსჯელონ. — მაგ-  
 რამ დაწყებულ საქმეს „ვ. ტ.“-ის ტექსტის კრი-  
 ტიკისა ველარაფერი შეაჩერებს, — იგი უნდა  
 დამთავრდეს „ვ. ტ.“-ის სრული განწმენით.

II

ჩემი მიზნები იგივეა, როგორც იყო „ვ. ტ.“-  
 ის გამომცემელ ტექსტის კრიტიკოსთა: განწმე-  
 და „ვ. ტ.“-ის ტექსტისა, რომელიც ჩვენ გვაქვს  
 ვახტანგის ვერსიაში და ხელთ-ნაწერებში, და-  
 მატებათაგან და ჩანართაგან. კ. ჭიჭინაძეს და  
 უნივერსიტეტის გამოცემისაც ერთი დიდი დას-  
 ტება შეუტანიათ მათგან გამოცემულ „ვ. ტ.“-  
 ში, რომელიც არც ვახტანგის ვერსიაშია და  
 არც ერთს მისი მიხედვით დაბეჭდილ სხვა გა-  
 მოცემაში, და რომელიც კვლავ უნდა მოსცილ-  
 დეს ყოველ გამოცემას „ვ. ტ.“-ისა (ე. წ. „ინდი-  
 ხატაელთა ამბავი“). მერმე ჩანართთაგან გაწმე-  
 დილ ტექსტში გადამწერთაგან დამახინჯებულ  
 და რედაქტორთაგან შეცვლილ სიტყვათა აღ-  
 გენა, აგრეთვე აღდგენა თვით ჩანართთა ტექს-  
 ტისა. ამ მხრით ძლიერ ცოტაა გაკეთებული  
 „ვ. ტ.“-ის ტექსტის კრიტიკოსთა მიერ. პ. ინგო-  
 როყვასაგან „რუსთველიანაში“ განზრახული აღ-  
 დგენილი ტექსტი „ვ. ტ.“-ისა ჩვენ არ გვიხი-  
 ლავს, — არც ვიცით, არსებობს თუ არა, — ამი-  
 ტომ, რაც არ გვაქვს, მით ვერ ვისარებლებთ,  
 მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ როგორ აღადგენს  
 ინგოროყვა „ვ. ტ.“-ის ტექსტის ზოგიერთ ად-  
 ვილს „რუსთველიანაში“ I, შემიძლია გადაჭ-  
 რით ვთქვა, რომ მის მიერ აღდგენილი მთელი  
 ტექსტი „ვ. ტ.“-ისა ჩემთვის მისაღები არ იქ-  
 მნებოდა.

მდგომარეობა ჩემი ამ ფრიად ძნელი და ძნე-  
 ლად გასაბედავი საქმის აღსრულებისას სულ  
 სხვაა ვიდრე მდგომარეობა ზემოხსენებულ ან  
 ახალ მკვლევართა, ვინც საქართველოში იდ-  
 წინს: ამათ ხელთ აქვს ხელთ-ნაწერები „ვ.  
 ტ.“-ისა, ყოველი შრომა, დაწერილი „ვ. ტ.“-ზედა,  
 აქვს იმედი ახალ ხელთ-ნაწერთა აღმოჩენისა  
 და შესაძლებლობა მათი შესწავლისა, აგრეთვე  
 შესაძლებლობა მთელი ჩვენი ძველი კულტუ-  
 რის კვლევისა, და სხვ., მე კი უნდა დავკმაყო-  
 ფილდე აქ, უცხოეთში რაოდენიმე წიგნით და  
 მცირე მასალით. თვით ვარიანტთა ქრებული,  
 რომლის გამოცემასაც კ. კაკაბაძე აპირებდა და  
 ვერ გამოსცა, ან არ გამოსცა, ან შეიძლება გა-  
 მოსცა და მე თვალით არ მინახავს, სრული არ  
 მიაქვს და უნდა დავკმაყოფილდე ი. აბულაძის  
 გამოცემაში მოცემული კრებულით. დიდა,  
 მე ვიცი, რასაც ნიშნავს ასეთ პირობებ-  
 ში „ვ. ტ.“-ის კრიტიკული გამოცემა, ხოლო თუ  
 ამას ვბედავ, — მხოლოდ აქ, სამშობლოს გა-

რეთ, და იმ რწმენით, რომ, მიუხედავად ყოველი-  
სა, ეს პირველი ცდა „ვ. ტ.“-ის ამგვარი გამო-  
ცემისა არა მცირე წარმატება იქმნება რუსთვე-  
ლოლოგიის საქმისა. ხოლო უკეთესი შრომა გა-  
სწიონ ჩემხედ უფრო ახალ-გაზრდა და კვლე-  
ვის უკეთეს პირობებში მყოფმა მქცნიერებმა  
თვით საქართველოში.

ჩაიცა შეეხება „ვ. ტ.“-ის თარგმანთ უცხო  
ენებზედ, შემდეგი უნდა ვთქვა: „ვ. ტ.“-ის ქა-  
რთული ტექსტის მცოდნე უსათუოდ შეამჩნევ-  
და, თუ რა უხეზულ მდგომარეობაშია ჩავარ-  
დნილი ხშირად მისი მთარგმნელი რომელიმე  
უცხო ენაზედ. მას რომელიმე ადგილი ვერ გა-  
უგია და „მიახლოვებით“ გაგების შემდეგ სთა-  
რგმნის მას, ან და იგონებს შესაფერ სიტყვას,  
რომელიც სულ სხვაა ვიდრე სიტყვა ორიგინა-  
ლისა, და ამ მოგონილ სიტყვას სთარგმნის. ეს  
იმიტომ, რომ თვით სიტყვა ან სწოდენიმე სი-  
ტყვა ორიგინალისა დამახინჯებულია და მთელი  
ადგილი ტექსტისა ქართულადაც გაუგებარი.  
და მართლაც, თარგმნილი „ვეფხისტყაოსნე-  
ბი“ ან მთარგმნელთა „ვეფხისტყაოსნები“ და  
არა რუსთველისა (როგორც მაგ. რუსული ვერ-  
სია ბალმონტისა), ან და აუარებელი შეცდომე-  
ბით, მთარგმნელთაგან ვერ-გაგებული ან მათ-  
გან თავისებურად გაგებული ადგილებით აღსა-  
ვსე, რაიცა „ვ. ტ.“-ის თარგმანთა ღირებულებას  
ძლიერ ამცირებს. ნამდვილი და კარგი თარგ-  
მანები „ვ. ტ.“-ისა უცხო ენებზედ (და ახალ ქა-  
რთულადაც!) მხოლოდ რუსთველის ტექსტის  
კრიტიკის შემდეგ არის შესაძლებელი. და მც  
იმედი მაქვს, რომ ჩემი ცდაც კრიტიკულად აღ-  
დგენილი „ვ. ტ.“-ის ტექსტის თარგმანისა ახალ  
ქართულად და იერმანულ ენაზედ სხვა მთარგ-  
მნელთათვის უსარგებლო არ იქმნება.

III

„ვ. ტ.“-ის დამატებათათვის, რომელიც ვახ-  
ტანგის ვერსიაში არ არიან, არამედ მეთექვსმე-  
ტე და მეჩვიდმეტე საუკ. ხელით-ნაწერებში, ბე-  
ვრი საუბარო არ არის საჭირო. ეს დამატებანი  
ჩემი გამოცემის ჩანართთა ნაწილში მქ არ შე-  
მიტანია, და ვისაც იგინი ბინტურესებენ, საუკე-  
თესო მათ განხილვას ნახავს პ. ინგოროყვას  
„რუსთველიანაში“ (ტ. I.). აქ უდავოდ არის და-  
მტკიცებული არა თუ მათი არა - რუსთველისო-  
ბა, არამედ გამორკვეულია დრო მათი დაწერი-  
სა მეთოთხმეტე საუკუნითგან მეთექვსმეტემდე

სხვა და სხვა ავტორთაგან. ეს დამატებანი არი-  
ან: „ინდო-ხატაელთა ამბავი“, „ხვარაზმელთა  
ამბავი“, „ვ. ტ.“-ის გმირთა ცხოვრების დასას-  
რული და სხვ.. რომ ყოველად უშვერი სტროფე-  
ბი ამ დამატებათა რუსთველს არ შეიძლება  
ეკუთვნოდეს, ეს დიდი ხნითგან იყო ცნობილი,  
როგორც ამას ნათელ-ჰყოფს ინგოროყვა, მაგ-  
რამ, საკვირველია, თუ რად შეუტანიათ კ. ჭი-  
ჭინაძეს და უნივერსიტეტის გამოცემას „ვ. ტ.“-  
ის ტექსტში „ინდო-ხატაელთა ამბავი“, ინგო-  
როყვას აზრით მეთოთხმეტე საუკუნეში დაწე-  
რილი დამატება საარგის-თმოგველისა (მეთოთხი-  
სა). ეს ისე არ გვიკვირს კ. ჭიჭინაძისაგან, რო-  
მელმაც თვისი გამოცემა „ვ. ტ.“-ისა ყველა უშ-  
ვერი და უაზრო სტროფებით აავსო, რომელიც  
კი ვისმე ოდესმე ჩაუერთავს რუსთველის ქმნი-  
ლებას, მხოლოდ მცირეოდენი გამოჩაგლისით,  
მაგრამ რად დასჭირდა ამ დამატების შეტანა  
უნივერსიტეტის გამოცემას „ვ. ტ.“-ის ტექსტ-  
ში, რომლის ერთი მთავარი რედაქტორთაგანი  
თვით პ. ინგოროყვა იყო? ამის მიზეზს ქვემოთ  
ვნახავთ, თუმცა ეს მიზეზი მიზეზად არ გამო-  
დგებოდა, ვამომცემლები რომ მკაცრი კრიტი-  
კით მიდგომოდენ „ვ. ტ.“-ის იმ ადგილს, სადაც  
„ინდო-ხატაელთა ამბავი“ ჩართული. თავისი -  
თავად კი, საკმარისია წაიკითხოს ეს დამატება  
„არა-სპეციალისტმაც“ და დაწმუნდება, რომ  
არავითარი მსგავსება მას რუსთველის ნამოქმე-  
დართან არა აქვს გარდა 16 - მარცვლოვანი ტა-  
ფისა და სტროფის ოთხ - ტაფიანობისა, თუ  
მკითხველს ოდნავ მინც აქვს იცავება და გრძნო-  
ბა პოეზიისა:

ქედსა ზედა გარდმოადგა მეტად დიდი  
- ქარვანი.  
კაცები და სახედრები ერთობ იყო  
შავოსანი.  
გარე შემო მოეკენეს უკანაშო  
დალალანი.  
მეფე ბრძანებს: „მოასხენით, ჩვენ  
დავყოფნოთ აქა ხანი, და შემდეგ..

ასეთი რიხინით მიდის ბოლომდე ეს ყოველად  
უშვერი ლექსით დაწერილი „ამბავი“, და შიგ  
მრავალი კიდე უფრო დიდი სიღრუხტრის მქონე  
სტროფია, როგორც მაგალითად:

მას ქალსა და ამილბარსა ერთმანეთით  
შეუყვარდა.  
ამილბარისნ სიძე მოკლა, ხმა შეეფხა  
დაუფარდა.



იგი ქალი პატარაი მამიდისა ვაეზარდა.  
შუქთა მისთა მონაქროლთა ინდოეთი  
გარდაქარდა, და შემდეგ..

ან და ნესტანდარეჯანის ტირილი მამის სიკვდი-  
ლის ვაგებობისა:

იხოქს და ივლეჯს, ხმა მალლად სტირს  
სიტყვა - ხაფი, უარე  
სისხლი და ცრემლი თველთაგან  
ჩამოსდის გარე უარე:  
„მოგკვე, მამაო, მე ვენთვის შეილი  
ყოველთა უარე!  
ვერა გამსახურე ასულმან, ვერცა რა  
შეგაგუა - რე!“ და შემდეგ..

ან კიდე ნუგეში ჭირის - უფალთა მოყვარეთა-  
გან და სხვა დამსწრეთაგან და მიტირება:

მაშინ გახდეს ყველაკანი ტირილად და  
ცრემლთა მღვრელად.  
დიდი ხანი მოიტირეს თავის - თავის  
გაუყრელად.  
ავთანდილ და ფრიდონ ტირან  
გულ - სადაგად, არა ჭრელად.  
მაგრა ექმნეს სულის - მღებლად  
კათალიკოს - მაწყვერელად,

და სხე. და სხე..

უმიზეზოდ არ შეუტანია უნივერსიტეტის  
გამოცემის რედაქციას ეს დამატება „ვეფ-  
ხის ტ.“-ის ტექსტში, და გარდა იმისა, რომ  
კ. ჭიჭინაძე მას რუსთველისად მთელის, და გან-  
საკუთრებით ამიტომ, მანაც განსაზღვრული მი-  
ზეზითვე ცნა იგი „ვ. ტ.“-ის ნამდვილ ნაწილად:  
მართლაც, ეახტანგის ვერსიისა და მის მიხედ-  
ვით გამოცემული „ვ. ტ.“-თა ბოლო დაფლეთი-  
ლად, უცნაურად გვეჩვენება: ავთანდილისა და  
თინათინის ქორწილის შემდეგ მეფე როსტევა-  
ნისას 80 ათასი მხედრით მიდიან ინდოეთის სამ-  
რთაგან განსაწმენდად და ტარცილისა და მისი  
ჯოლის განსამეფებლად, და ეს უზარ - მახარი  
სამხედრო ექსპედიცია შინდორში, გზაში საუზ-  
მით თავდება:

სამ თვე ვლეს, — ღმერთისა მათებრი სხვა  
რამცა დაებადოსა! —  
მოეგებინ, მტერობა ვერავინ  
დაიქაღოსა!  
შინდორსა შინა სადილად გარდახდეს  
უდილადოსა.

ეთთა ჰმართებდა, პურობდეს, ღვინოსა  
სემიდეს არ დოსა - ო,

და შემდეგ მოდიის მთელი მოკლედ მოთბრობი-  
ლი ამბავი „ვ. ტ.“-ის ემიერთა სრული გაბედნი-  
ერებისა. — ინდოეთს წასლვის ამბავი ი. აბუ-  
ლაძეს დამთავრებულად მიიჩნია, რათგანაც იქ  
სწევია: „მოეგებინ, მტერობა ვერავინ და-  
ქაღოსაო“. მაგრამ ეს ტაევი სრულიადაც არ  
სპობს შთაბეჭდილებას ამ თავის დაუმთავ-  
რებლობისა: პოეტმა მოხმოცი ათასი არა-  
ბი მხედარი სასტირნოდ წაიყვანა ინდოეთს  
და მერე მათი კვალიც აღარ სჩანს?! აეთა-  
ნდილი თითქოს მართო ბრუნდება ამ ამბის  
მიხედვით არაბეთს, რა ფრიდონს გაეყრება  
გზაში. მისი მხედრობა ნახსენებიც არ არის! —  
მე არ ვიცი, პ. ინგოროყვას რუსთველისად მია-  
ჩნია თუ არა ეს ბოლო თავი „ვ. ტ.“-ისა. ხოლო  
ს. კაკაბაძემ გადადგა დიად გაბედული ნაბიჯი  
და არა რუსთველისად აღიარა იგი პოემის და-  
სასრულის ბოლო სტროფთა გარდა, რომელ-  
ნიც მას, როგორც სხვა მკვლევართ, რუსთვე-  
ლის სტროფებად მიიჩნია: „ვ. ტ.“-ის რომანი  
არაბეთში იწყება და არაბეთშივე თავდება,  
ამბობს კაკაბაძე თვისი „ვ. ტ.“-ის მხორე გამო-  
ცემაში და მან შემოსხენებული ნაკვეთი იქ და-  
მატებად დაბეჭდა. — ჩვენ აქ საერთოდ ვეთანხ-  
მებით ს. კაკაბაძეს. ხოლო ჩვენი აზრით რომა-  
ნი თავდება არა ისე, როგორც კაკაბაძეს ჰგო-  
ნია, არამედ სტროფით:

მართ მეფემან სპათა ბრძანა  
ავთანდილის თაყვანება:  
„ესეუო მეფე თქვენი, ასრე იქმნა  
ღმრთისა ნება.  
დღეს ამას აქვს ტახტი ჩემი, მე — სიბერე,  
ვითა სნება.  
ჩემად სწორად ჰმსახურებდით,  
დაიჭირეთ ჩემი მცნება“ (VIII, 179). —

შემდეგი ორი სტროფი ჩანართია (ნაწ. II, 190,  
1 - 3). — მართლაც, ავთანდილი, ვითარცა მეფ-  
ლზე მეფის თინათინისა, გამეფდა, ტარიელმა  
თავის მიზანს მიახწია, — მას მიჰხვდა მისი მზე,  
— ფრიდონის ცხოვრება ყოველთვის იყო დალ-  
ხინებული, იგი მეფე იყო და მისი უკეთილშო-  
ბილესი სურვილიც მის ძმად - ნაფიცთა გაბედ-  
ნიერებისა მისივე გმირული დახმარებით აღს-  
რულესული. შემოსხენებული ბოლო სტროფით  
„ვ. ტ.“-ისა დასრულებულია სტრათი მიზან-მი-

ხწვეულ იმშირთა: ავთანდილ და თინათინ ტახტ-ზედ, ტარციელი, ნესტანდარეჯანი და ფრიდონი მათ წინაშე, როსტევიანი, აგრეთვე წინაშე მდგომი, აღმსარებელი ავთანდილის მეფობისა უკვე გამეფებულ თინათინთან ერთად. ეს აბოთეთიზისა და დიდი ხელოვანისათვის ჩასაკვირველია არ იყო კვლავ დაეწყო მოთხრობა ტარციელის წასვლისა ინდოეთს, ხატაელთა წინააღმდეგ ბრძოლისა და სხვა ამბავთა, და რუსთველიც მოკლედ ათავებს თავის რომანს: „ტარციელს და ცოლსა მისსა მიჰხვდა მათი საწადელი“ და სხვ. (VIII, 180 - 181). ეს მე-180 ნამდვილი სტროფი ს. კაკაბაძემ ჩანართად მიიჩნია და ამიტომ ჩანს რაღაც უცნაურად და დაუმთავრებლად მისი „ვ. ტ.“-ის ბოლო. სულ უკანასკნელი სტროფი „ვ. ტ.“-ისა (იქვე, 181: „ყოველთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოსთოდეს“ და სხვ. მისდევს სტროფს: „ტარციელს და ცოლსა მისსა“ და სხვ. და ეს არის რუსთველის მოკლე, ორ-სტროფიანი ეპილოგი. იგი ეხება ტარციელს და ნესტანდარეჯანს, რომელთაც მიჰხვდა „შვიდი ტახტი სახელმწიფო“ და მათი წასვლის შემდეგ აშლილი ქვეყანა ინდოეთისა კვლავ დაწყნარდა. ფრიდონისა და ავთანდილის ქვეყნებში კი სიწყნარე და წესიერება ყოველთვის იყო და იქ არავითარ არაფერს არ მომხდარა. ხოლო რომ არც ფრიდონი და ავთანდილი გამოეტოვებია ინტერპოლატორს, რათანაც მას მათი ტარციელთან ინდოეთს დასრჩენის და მერმე იქითგან დაბრუნების ამბავი აქვს მოთხრობილი, რუსთველის ეპილოგის ორი სტროფის შუა ჩართული, ამისთვის შეუთხზავს მას რუსთველის ეპილოგის მეორე სტროფის წინამორბედი სტროფი (ნაწ. II, 191, 16):

მათ სამთავრე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,  
ერთმანერთსა ჰნახვიდის, საწადელი  
გაუსრულდეს,  
ბრძანებისა შემცილენი მათთა ხრმალთა  
დავეწყულდეს,  
მოიმატეს სამეფონი, გახელმწიფდეს,  
გამორჰმულდეს,

და „ვ. ტ.“-ის ეპილოგის უკანასკნელი სტროფის შინაარსი ამ სამ ხელმწიფესთან დასუკავშირება, რაიცა სრულიად ზედმეტი ამბავია, რათანაც ავთანდილი და ფრიდონი მათ დაწყნარებულ ქვეყნებში „გახელმწიფებულნიც“ იყვნენ და „გამორჰმულდებულნიც“, ხოლო მათი „სა-

წადლის გასრულებისათვის“ (რუსთველს უკვე ჰქონდა ნათქვამი (VIII, 172 და სხვ.); „სამეფოთა მომატება“ კი ნამდვილი ვულგარიზმია, სრულიად არა-საჭიროც რუსთველის მოთხრობისათვის. — სწორედ ამ სტროფს მისდევს კიდევ სხვა ინტერპოლატორისაგან ჩანართი ერთი ყოველად უმჯერი სტროფი, რომელიც არც ვახტანგის ვერსიაშია და არც სხვა მისი მიხედვით დაბეჭდილ გამოცემაში „ვ. ტ.“-ისა (იგი ჰქინაძესაც კი არ შეუტანია თავის „ვ. ტ.“-ში!): ფრიდონცა ესეა მოყვარედ, მათ წინა მოიყვანიან,  
ერთმანეთისა შემეველთა მებრძოლნი იმაგანიან,  
მათთა ურჩთა და შემკადრთა მიწანი უაკვანიან,  
ორგულთა მკლავნი შემუსრნეს,

ერთგულნი აგულვანიან. ეს სტროფი ს. კაკაბაძეს რუსთველისა ჰგონია, მაგრამ ცოტა უხერხულად ეჩვენება და ამიტომ წარმოუდგენია რომ მის წინასწარ სტროფში ტარციელი, ავთანდილი და ფრიდონი კი არ არიან ნაგულისხმევი, არამედ სამი მეფე: ტარციელი, ავთანდილი და როსტევიანი, რომელთაც ფრიდონიც (ე. ი. მეოთხე მეფე) მოყვრად ჰყავდათო. მაგრამ რომ სტროფი „ფრიდონცა ესეა მოყვარედ“ და სხვ. ჩანართისა, და ერთი უმჯერთაგანი, რომლის მსგავსი უმჯერობით ბევრიც არ მოიპოვება ხელით-ნაწერებში, ცხადზედ-უცხადესი უნდა იყოს უბრალო მკითხველისათვისაც, „ვ. ტ.“-ის მკვლევარისაგან კი მისი რუსთველისად ცნობა საკვირვლად და უცნაურად გვეჩვენება!

ერთობ ცხადად ჩანს, რომ მთელი თავი: ავთანდილის და თინათინის ქორწილი, ინდოეთს წასვლა სამთა ვმირთა და ნესტანდარეჯანისა, ქორწილი ტარციელისა და ნესტანდარეჯანისა ინდოეთში, ასმთის შეწყალება და გასათხოვრად განმზადება, ავთანდილისა და ფრიდონის სტურმრობა ტარციელთან და ბოლოს მათი შინ დაბრუნება — ჩანართისა (ნაწ. II, 190, 3 - 32; 191, 1 - 16), ხოლო არა „ინდო-ხატაელთა ამბის“ ავტორის მიერ, არამედ „ვ. ტ.“-ის უფრო აღჩინდელი შემავსებლის მიერ დაწერილი. ამ უკანასკნელის ლექსი დიდად უკეთესია ვიდრე ლექსი „ინდო-ხატაელთა ამბის“ ავტორის, ე. ი. უკეთესი მიბაძვა რუსთველისა. ხოლო „ინდო-ხატაელთა ამბის“ ავტორს არ მოსწონებია ასეთი მართლაც დაფლეთილობა და დაუმთავ-

რებლობა პირველი შემთხვევების ჩანართისა და ამ ჩანართში ჩაურთავს თავისი „ინდო-ხატაელოთა ამბავი“, რუსთველის ორ-სტროფიანი ეპილოგის წინ.—მართლაც არა მარტო დიდი სამხედრო ექსპედიციის საუზმით გათავება ამტკიცებს პირველი შემთხვევების ჩანართის დაფიქსირობას, არამედ კიდევ ერთი ადგილი, სადაც ისე გამოდის, თითქოს ტარიელი საჩუქრებს როსტევიანისათვის („ტურფებს ჯაუხარებს“, თვალთა თლილთა ჭურჭელს“, არა „კოვხებს და ჩამჩებს“), ავთანდილს კი არ ატანს, არამედ ფრილონს. ეს შეუნიშნავს კიდევ სხვა ინტერპოლაციას და შემთხვევების ჩანართში ჩაურთავს შემდეგი სტროფი, რომელიც ვახტანგის ვერსიაში არ არის: „მასცა (ე. ი. ფრილონს) უბოძა (ტარიელი) ფარმანი, — წა, სახლი მოიარეო“ და შემდეგ. (ნაწ. II, 191, 10); მქრმე ავთანდილს უთხრა: „უშენოდ რამცა ივით ვაგებარეო“ და შემდეგ. (იქვე). ახლა რასაკვირველია ტარიელმა მხოლოდ ავთანდილს უნდა ვახტანგის საჩუქრები როსტევიანისათვის და უთხრას: „ჩემ მაგიერ მიუტანე, წა, ნურას მეურჩებიო“ (იქვე, სტროფი 11). — თანამედროვე გამომცემელს „ვ. ტ.“-ისა, უკეთეს იგი დასტოვებს ვახტანგის ვერსიაშიც არსებულ ძველ დამატებას შემთხვევებისა, ბოლოს მოთხრობისა, ყოველივე ამით აქვს მიზნები „ინდო-ხატაელოთა ამბავით“ და სხვა მცირე ჩანართებით შეავსოს პოემა, სულ ერთია მიაჩნია თუ არა მას ჩანართები რუსთველისად, რათა მთელ მოთხრობას მიაწიჭოს ბუნებრივი მსვლელობა, რაიცა ქმნეს კ. ჭიჭინაძემ და უნდევროსტეტის გამოცემის რედაქტორებმა, მათ შორის თვით პ. ინგოროყვამ! — მაგრამ ასეთი გამოცემები კრიტიკული გამოცემებად „ვ. ტ.“-ის ტექსტისა ვერ ჩაითვლება.

ვინ იყო ვახტანგის ვერსიაში შეტანილი „ვ. ტ.“-ის უკანასკნელი თავის დამწერი? — თვით ამ თავის ენის განხილვა გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ ეს ავტორი იყო მესხი მელექსე, რომელიც თავის თავს ე. ტ. „ის ე. წ. დასასრულში“ ახსენებს (ნაწ. II, 192). ეს მესხი მელექსე ნაკითხ, განათლებულ მელექსედ ჩანს. იგი ხშირად ისე კარგად ჰბაძავს რუსთველს, რომ მისი ლექსი ძნელად არის გასარჩევი რუსთველის ლექსისაგან, ზოგჯერ კი ცუდად. იგი ნიჭიერი მელექსეა, მაგრამ არა დიდი ნიჭით დაჯილდოებული. მისი ჩანართები უმიზნო და უაზრო არ არის, როგორც სხვა ინტერპოლაციორთა, რომელნიც განსაზღვრული მისაღები

მიზნითაც სთხავენ თავის ჩანართებს, უფრო ხშირად კი ამ ჩანართებით თითქოს ეჯიბრებიან, ან სრულ-ჰყოფენ რუსთველის ან მისი შემთხვევების ნათქვამს. ზოგიერთი იმ ჩანართთაგან, რომელნიც „ვ. ტ.“-ში უზღადა არიან გაბნეულნი, ჩანს რომ აგრეთვე მესხი მელექსის კალამს ეკუთვნის, — არა მარტო „დასასრული“, რომლის ავტორად იგი თვით აღიარებს თავის თავს. „ვ. ტ.“-ში მოიპოვება კიდევ ერთი საკმაოდ ვრცელი თავი, — ამბავი როსტევიანის მიერ ავთანდილის სანადიროდ მიწვევისა ტარიელის სამყოფთაგან მისი დაბრუნების შემდეგ (ნაწ. II, 90, 2-7), რომელიც იმავე ავტორის მიერ შემთხვეული უნდა იყოს, და სხვ. — პირველი დიდ ჩანართში შესამჩნევნი არიან თავისებურებანი და უცნაურობანი ამ ავტორის მიერ ამბის მოთხრობის წესისა: უცნაური შეცვლა ავთანდილის და თინათინის ქორწილისა ტარიელის და ნესტანდარეჯანის (მესამე!) ქორწილად როსტევიანისა, ტარიელის მიერ ფრილონის მავიჯრადაც მადლის გადახდა ძღვნისათვის როსტევიანის წინაშე, და სხვ. იქვე მას აქვს გამოთქმანი, რომელნიც რუსთველის გამოთქმათ არა ჰგვანან: „ზროხა და ცხვარი დაკლული არს უმრავლესი ხავსისა“ (ნაწ. II, 190, 4, 2); „არა დაჩხა უსაბომქრო არ კოჭლი და არ საპყარი“ (იქვე 7, 1); „ავთანდილ უთხრა ტარიელს ესე სიტყვები ორები“ (იქვე, 18, 1), — მიბაძვა რუსთველისა: „ისმინე სიტყვა ასეი“ (VIII, 28, 1), „ვინ იქმთ საქმესა ესებსა“ (იქვე, 38, 3), სადაც „ასეი“ 100-ები კი არ არის, არამედ იგი ნიშნავს „ეს“-ს, „ასეთ“-ს, და აგრეთვე „ეს“-ები — „ეს“-ს, „ესეთ“-ს (ეს — + სუფიქსი-ები). ინტერპოლაციორს კი შემცდარი ანალოგიით „ორ-ები“ უთქვამს, რაიცა რიცხვს „ორს“ ნიშნავს! შემდეგ: „ცხელი სდის წყარო ცაქალისა, მართ ვითა ქვაბი ცხელდების (!)“ (ნაწ. II, 190, 28, 3); „მინდორსა შინა სადილად გარდახდეს უდილადოსა“\*) (იქვე, 32, 3) და სხვ. და სხვ. — მას უყვარს აგრეთვე გამოთქმანი „ღმერთსა მათებრი სხვა რამცა დაებალოსა“ (იქვე, ტაევი I) და მსგავსნი, და კიდევ სხვა ნიშნებს ჰნახავს მკითხველი ჩანართებში, რომელიც ამჟ-

\*) სიტყვა, რომელიც არასდეს სხვაგან არ გვხვდება და გაუგებარი: უდილადო = უსადილო, უზმე? უდილადოსა = უზმეზედ? — ი. აბულაძის ახსნა „მუდამ დღე“, „ყოველთვის“ („ვ. ტ.“-ი, გვ. 339), ყოველად შეუწყნარებელი!

დავინებს მესხ მელექსეს, როგორც „ვ. ტ.“-ის პირველ შემავსებელს. ერთ მთავარ მის თანაგებურ ნაკლთავანი იყო მისი დაუდევრობა ჩანართთა მცობვისას, რაიცა სხვა ინტერპოლაციებით კიდე სხვა ჩანართთა შეთხზვას აძლევდა, როგორც ერთი მავალითათ ეს ზეწოთ აღენიშნეთ.

#### IV

ე. წ. „დასასრული“ „ვ. ტ.“-ისა მესხი მელექსის კალამს ეკუთვნის და ამას თვით ავტორი აღიარებს (ნაწ. II, 192, 1-5), რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა ჩანართთა გამორკვევისათვისაც. ხუთივე სტროფი ამ „დასასრულისა“ მესხი მელექსისა და პ. ინგოროყვა სცდება, როდესაც იგი მეორე სტროფას რუსთველისად აღიარებს და თვისი მიზნისათვის ვარდაჭმნის მას, ხოლო მესამე სტროფას — ჩანართად, რათა განაც მას ჰგონია, რომ ავტორი „ლაყბობად“ აცხადებს მთელს პოემას, მაშინ როდესაც რუსთველისათვის „შაირობა სიბრძნისა ერთი დარგი“ო. მაგრამ ვარდა იმისა რომ ვერც შაირობის სტროფებს „დასაწყისისა“ (ნაწ. II, 3-8) ჩავთვლით რუსთველისად, „ვილაყფეთანი“, ეს ყოვლად მიუღებელი ფორმა „ვილაყფენითა“-ს ნაცვლად, მხოლოდ გაჭირვების ნაყოფია ლექსის შეწყობის დროს და ნიშნავს „სიტყვა განვაგრძეთ“, ან მსგავსს. არავითარი წინააღმდეგობა აქ არ არის შაირობის მიმართ, რომლის სტროფები მისივე კალამს ეკუთვნის, ვინც „ვილაყფეთანი“ და მთელი „დასასრული“ დასწერა, მესხ - მელექსეს.

მესხი მელექსე ამბობს: „ვეწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“ -ო (სტრ. 1, 4). ვარისანტები „რუსთველისა თემისა“, „რუსთავისა და ამისა“, „რუსთავისა დაბისა“ (ბროსეს შესწორება) მიუღებელია. სტროფი ნიშნავს: „მე ვინმე მესხი მელექსე რუსთველისათვის ე. ი. რუსთველის მავიერად ვწერ („ამას“-ო). ავტორს ლხმარია „ამისა“ (< ამისად) ნაცვლად ძველ ქართულში ხშირად ნახმარები განსაზღვრული ნაწიერისა „მისა“ (< მისად), რაიცა აგრეთვე მისი ვაჭირვების მაჩვენებელია ლექსის შეწყობის დროს. მას შეეძლო ეთქვა: „რუსთველისად მისა“, მაგრამ ეს მას არ მოეწონებოდა, როგორც შაირობის თვისების შეცვლა. რომ ამ ტაყვის გაგება სხვანაირად არ შეიძლება, ამას ინგოროყვამაც და სხვებმაც მიაქციეს ყურადღება

და დიდ - მნიშვნელოვანი დასკვნაც გამოიტანეს, რომ მესხი მელექსე რუსთველი არ არის, არამედ სხვა პოეტი, „მისთვის“, რუსთველისთვის მწერალი. ი. აბულაძის „ვეწერ ვინმე მესხი, მელექსე, მე რუსთველი... სად ამისა...“ — ვწერ ვინმე მესხი მელექსე - რუსთველი და სად მე და სად „ვ. ტ.“-ის მელექსე (ე. ი. სხვა ჩვენგან სახელით უცნობი პოეტი). მართლაც უაღრესად შეუწყნარებელი გაუგებრობაა, — თვით წინადადება, მისი წესით წაკითხული, შეუძლებელი! ხოლო კ. ჭიჭინაძის დაყენება, რუსთველი თავის თავზედაც იტყოდა „რუსთველისად ამისა“, ე. ი. როგორც რუსთველით, სრული უგულებელ - ყოფაა ძველი ქართულის დრამატიკისა, რომელს ცოდვას ჩვენ რუსთველს ვერავითარ შემთხვევაში და ვერავითარი ჩენი ჰიპოთეზის გასამართლებლად ვერ შევწამებთ! ცხადი და უეჭველია, რომ რუსთველი, იყო თუ არა იგი ტომით მესხი, სულ ერთია, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია, ხოლო მესხი მელექსე სულ სხვა პოეტი, თვით მისივე ნათლად ნათქვამი სიტყვით, — რუსთველისათვის, „მწერალი“. — აქ ყურადღება იმ მკვლევართა მსჯელობისა და დასკვნათა, რომელთაც რუსთველის ტექსტი ინტერპოლაციითა ტექსტისაგან ვერ განურჩევიათ, მათ მიერ მრუდედ გაგებაზედ ამ ტექსტთა ადგილთა ემყარების და წმიდა ქაოსს ჰქმნიან თვის ახსროვნებაში, შეუძლებელია, როგორც მავ. ი. აბულაძის მსჯელობისა და დასკვნათა, „მესხი - მელექსე - რუსთველის (!)“ შესახებ, რომელიც თითქოს, „თავის თავს მიაწერს პოემის დაწერას (!)“. აქეთგან გამომდინარეობს მის მიერ „პოეტი მოთას“ რუსთველად სახელწოდების „პირობითად“ ჩათვლა და სხვა ამგვარი უცნაურობა (იხ. მისი „ვ. ტ.“-ი გვ. LVII-LXX). — ს. კაკაბაძის ამგვარივე მსჯელობებზედ და დასკვნებზედ საუბარიც ზედ - მეტად მიგვაჩნია. ხოლო ასეთი რამ არა თუ ჩრდილს აყენებს ამ მკვლევართა სხვა ღვაწლს რუსთველოლოგიის წინაშე, არამედ დიდად აბრკოლებს „ვ. ტ.“-ის კვლევას. —

მესხი - მელექსის სიტყვები: „ვეწერ ვინმე მესხი მელექსე მე „რუსთველისად ამისაო“ სრულიად ნათელია და მრავალი მხრით მნიშვნელოვანი: 1) მესხი - მელექსე, ეს „ვინმე“, ე. ი. არა დიდად შესანიშნავი პოეტი, რუსთველისთვის სწერს. 2) ეს მისი „წერა“ არ ნიშნავს მხოლოდ „დასასრულის“ ხუთ სტროფის დაწერას, — ამ შემთხვევაში იგი სხვაგვარად იტყოდა, აგ-

რეთვე ნათლად, თავის აზრს, — არამედ ეს ნი-  
შნავს იმას, რომ მას რუსთველის მთელი პოე-  
მისათვის „უწერია“, — გადაუწერია იგი, შე-  
უესია და შეუმკვია, — გამოუცია“ ამგვარად  
თვისა რედაქტორობით, და ამას ამცნევს მკით-  
ხველს წიგნის „დასასრულში“. 3) იგი ახსენებს  
პოემის ავტორს, რუსთველს, და ამით საფუძვე-  
ლი აქვს იმ ძველ ტრადიციას, რომელიც „ვ.  
ტ.“-ის დამწერად „შოთა რუსთველს“ ასახე-  
ლებს. — ეს ზეპველი ფაქტი დაუფასებელ საშ-  
უალებას გადაძლევს „ვ. ტ.“-ის ტექსტის კვლე-  
ვისათვისაც. 4) რასაც რუსთველი, რომელიც აგ-  
რეთვე თავის სახელს ამზობს მიძღვნაში (სტრ.  
2, 1), თავისი პოემის წარმოშობისათვის გვეუბ-  
ნება (მიძღვნა, V, სტრ. 3), მაგრამ მოკლედ, იმ-  
ასვე მესხი - მელექსე ცოტა უფრო ვრცლად მო-  
გვითხრობს (დასასრული, სტრ. 2-3), და ეს  
განმარტება „გამომცემელი“ მესხი - მელექსისა  
„ვ. ტ.“-ის დამწერის რუსთველისათვის დაწერილ-  
ლი, სრულიად ბუნებრივია.

ხუთი სტროფი მესხი - მელექსის „დასასრუ-  
ლისა“ მოიპოვება ვახტანგის ვერსიაშიც და ყვე-  
ლა ხელთ - ნაწერშიც „ვ. ტ.“-ისა. უამისოდ  
არც ერთი „ვ. ტ.“-ნი არ მოგვეპოვება და ეს  
იმისი მაჩვენებელია, რომ ყველა ვერსია მისი  
გამოუკლისად მესხი - მელექსის რედაქტორობით  
გამოცემული დედნითგან მომდინარეობს. „ვ.  
ტ.“-ის ტექსტის კრიტიკის საქმეა, მამასადამე,  
უპირველეს ყოვლისა გამოაყოს რუსთველის ტე-  
ქსტიდან მესხი - მელექსის ჩანართები. რაც ჩა-  
ნართი ამის შემდეგ დაგვრჩება, ის უნდა ჩაით-  
ვალოს გვიანდელ ჩანართად, რომელიც სხვა და  
სხვა პირთაგან სხვა და სხვა დროს იწერებოდა  
სხვა და სხვა ღირების მქონე ლექსით, და ერ-  
თვოდა „ვ. ტ.“-ის ტექსტს რუსთველისა და აგ-  
რეთვე მესხის მელექსისა, რომელიც აროდეს  
მიუწერია თავის თავისთვის „ვ. ტ.“-ის დაწერა,  
არამედ პირველი გამომცემლობა მისი აღუსრუ-  
ლებია თავისებურად.

მესხი - მელექსის ჩანართთა გამოყოფა რუს-  
თველის ტექსტიდან გარდაუვალი სიძნელეს არ  
წარმოადგენს. რომ „დასასრული“ მის კალამს  
ეკუთვნის, ეს ზემო ნათქვამით უეჭველია. რომ  
ბოლო - თავი მოთხრობისა მისივე დაწერილია,  
ესეც ცხადად სჩანს თვით მესხი-მელექსეს სი-  
ტყუებითგან: „გასრულდა მათი ამბავი ვითა სი-  
ხმარო ღამისა“; „ვიწერა ვინმე მესხი - მელექსე მე  
რუსთველისად ამისა“ (დასასრ. 1, 1; 4). „მათი

ამბავი“ სწორედ იმ ბოლო თავით გასრულდა,  
რომელიც მესხმა - მელექსემ რუსთველისათვის  
დაწერა. — ამ ჩანართში ვხედავთ რუსთველის  
კარგ წაბადვას სტროფთა უმეტესი ნაწილის შე-  
თხზვისას, მაგრამ აგრეთვე დაუმთავრებლობას,  
ერთგვარ დაუდევრობას, რასაც სხვა ინტერპო-  
ლატორთა ჩანართების შეთხზვა გამოუწვევია,  
— ზოგჯერ ლექსის ზეგარვისობასაც; და სრული-  
ად ასეთივე თვისებისაა ჩანართი 90, — როსტე-  
ვანის მიერ ავთანდილის სახანადიოდ მიწვევის  
ამბავი, როდესაც ავთანდილი ტარიელის სამ-  
ყოფთაგან არაბეთს დაბრუნდა, — ნამდვილი,  
მაგრამ ცუდი წაბადვა რუსთველისა, რომელსაც  
მოთხრობილი აქვს ამბავი ტარიელის სახანადი-  
ოდ მიწვევისა ფარსადანის მიერ, როდესაც  
ტარიელი ხატათითგან დაბრუნდა გამარჯვე-  
ბული (III, 145-149). არის კიდე მრავალი ად-  
გილი „ვ. ტ.“-ში, რომელიც რუსთველის მიერ  
არ შეიძლება იყოს დაწერილი, არამედ ამ ად-  
გილებს ცხადად ეტყობა ჩანართობა სხვა პოეტ-  
ის მიერ, მოთხრობის განვრცობისა, განმარტე-  
ბისა, დრამატიზაციისა და სხვა მიზნით, და რა-  
თვანაც ამ ადგილთა ლექსი ქრონობ, მცირე გა-  
მონაკლისით, კარგი წაბადვა რუსთველისა, და  
სხვა ნიშანთა მიხედვითაც, ეს ადგილებიც მესხი-  
მელექსის დიდ და მცირე ჩანართებად უნდა ჩა-  
ითვალოს. თვითელი მათგანი ქვემოთ იქმნება  
განხილული. აქ კი ყურადვილოთ ჯერ ი. წ.  
„დასაწყისი“ „ვ. ტ.“-ისა, რომელიც კიდე მტრ  
გაუგებრობას იწვევს მკლევართა შორის ვიდ-  
რე „დასასრული“, — თავისი უცნაური აგებუ-  
ლობით: სტროფთა ლექსის სხვა და სხვაობით,  
ნაკვეთთა შინაარსის შეუსაბამობით და სხვ.,  
თითქოს ეს „დასაწყისი“ რაოდენიმე პოეტისა-  
გან იყოს დაწერილი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ზ ი ა**

მზადდება და დაიბეჭდება პროფ. შალვა ბე-  
რიძის წიგნი: «Dov'è il cuore?» („სად არის გუ-  
ლი“); ეხება აზია და ევროპის ისტორიას, პოე-  
ზიას და სადღეისო მდგომარეობას.  
ამ შრომის შინაარსს, პირველი ნაწ., ხელნა-  
წერის მიხედვით რეცენზია უძღვნა «Messadgero»  
ში ნეაპოლელმა კორესპონდენტმა — გაეტანო  
ტარტალიამ. ქართულ პოეზიას და ჩვენ დიდ

მწერლებს ფართო ადგილი ექმნებათ ამ წიგნში დათმობილი.

**ესხად ბეის წიგნი: „ნავთი და სისხლი აღმოსავლეთში“.**

ესხად ბეი დაიბადა ბაქოში. სწერდა რუსულად და გერმანულად სადღეისო საკითხებზე. მისი გერმანული წიგნი—«Bl und Blut im Orient» ითარგმნა იტალიურად და გამომცემელ იქმნა მილანოში (Edit. Sonzogno, 1933, გვ. 315). მისი სათაურია „ნავთი და სისხლი აღმოსავლეთში“. მეოთხე თავი ამ წიგნისა ეძღვნება სავსებით საქართველოს (გვ. 300-38), სადაც ავტორმა იმოგზაურა არა ერთხელ დიდი ომის შემდეგ საქართველოს ეძახის: „წმ. გიორგის ქვეყანას“ და იხსენიებს დიდის ყურადღებით და სიმპატიით მის წარსულს, კულტურას და ზნე-ჩვეულებებს. ამ მისი აზრი ივერიის შესახებ: „მთელი რაინდული აზია და ევროპა შეეფარა დღეს საქართველოს მთებს. მხენე პოლიტიკას და ძალადობას რომ არა ჰქონდეს გასავალი ჩვენს საუკუნეში, ეს წმ. გიორგის კუთხე იქმნებოდა ნამდვილი სამოთხე დედამიწაზე, თავისი მშვენიერი მთებით, მღვინარეებით, მინდორებით, კოშკებით, ლამაზი გარეგნობით და საველე პოეზიით. სანამ რუსეთი შესდგამდა იქ თავის მძიმე ფეხს, ქართველი მოქალაქის ცხოვრება იყო სავსე საუკეთესო, პატრიოტული და ადამიანური მისწრაფებით. ეს ვერ არის ფრიალ ღმობიერი, გულ-კეთილი, ზრდილი ბუნებით, და უთუოდ ყველა სხვა ერებზედ უფრო სტუმართ-მოყვარე, კარგი მასპინძელი.

მხოლოდ საქართველოში შეიძლება ნამდვილი მოლხენა, ზომიერი და აზრიანი, ცოდნა და გამოწვლილება იმისა თუ რა არის სიხარული არსებობისა. **იქაური სახელი არ ათრობს არავის, მხოლოდ ამხარულებს.**

ქართველი ცხენოსანია დაბადებით, მოქნილი და კონტა, უყვარს სიმღერა, ცეკვა, პოეზია; იცის ზუმრობის ფასი რომ დაივიწყოს ყოველგვარი უკულმართობა არსებობისა.

ერთგვარი ბედნიერებაა ქართველობა, ცხოვრება საქართველოში: მთელი დედა-მიწა უნდა გახდეს მიმზადველი ივერიისა!“.

ის იხსენიებს საქართველოში ევროპის ცნობილ სოციალისტთა ჩამოსვლას (ვანდერველდე, კაუტსკი, მაკდონალდი და სხ.) და მწუხარებით დაასკვნის, რომ დიდმა საბჭოთა რუსეთმა მო-

ლალატობრივი დანა დასცა ამ პატარა რესპუბლიკის კეთილდღეობას.

ავტორი ამ წიგნისა იყო აღზრდილი გერმანიაში, იმოგზაურა ამერიკაში (1928-38), დაბრუნდა იტალიაში, რომელიც მეტად უყვარდა, და გარდაიცვალა **პოზიტანოში**, ქ. ნეაპოლის ახლო, 1942 წ. — **ესხად ბეი** დირსია ჩვენი ყურადღების.

შალვა ბერიძე

იტალია.

**პროფ. ალექსანდრე ნიკურაძე ჩრდილოეთ ამერიკაში**

ამერიკიდან დაბრუნდა გერმანიაში პროფ. ალექსანდრე ნიკურაძე, სადაც იგი მიწვეული იყო მეცნიერული საკითხებისათვის.

ზოგმა მკითხველმა შეიძლება არ იცის, რომ ჩვენი თანამემამულე, ყოფილი პროფესორი ბერლინის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისა, მსოფლიოში სახელმწიფოებრივი მეცნიერია. უკვე დიდი ხნითგან ხელმძღვანელობს იგი გერმანიაში პირველად დაარსებულ ელექტრონებისა და იონების კვლევა-ძიების ინსტიტუტს. (როგორც ვიცით, ელექტრონები და იონები არიან ნაწილნი ატომებისა და მოლეკულებისა).

ალექსანდრე ნიკურაძის მიერ წარმოებულ კვლევა-ძიებას მოჰყვა მნიშვნელოვანი შედეგები, რომელიც გამოყენებულ იქმნა არა მარტო სპეციალურ ინდუსტრიაში, არამედ ამ მთავარბის დროს მის მიერ აღმოჩენილი კანონები შევიდა ფიზიკის სხვა და სხვა სახელმძღვანელოებში. ფიზიკა-მათემატიკურ ფაკულტეტებზე ლექციების დროს ყველგან გაიგონებთ პროფ. ნიკურაძის სახელს.

ფიზიკის დარგში მას აქვს დაახლოებით 35-ზე მეტი საკუთარი გამოკვლევა, გამოცემული აქვს ორი წიგნი, სადაც იძლევა სრულ მიმოხილვას მისი საკუთარი და სხვა მეცნიერთა გამოკვლევების შედეგებისა. მზად აქვს დასაბუტყად სამი ტომი მისი ბერლინის ლექციებისა, ამათში ორი ტომი შეიცავს ატომების საკითხს: თეორიას და გამოყენებას.

არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის მას ისტორიის დარგშიც, რომელიც მას თავიდანვე აინტერესებდა. იგი დირექტორია მეორე დაწესებულებისა, — კონტინენტალური ევროპის კვლევა-ძიების ინსტიტუტისა, სადაც მან გამოსცა გერ-

მანუელ ენაზე სუთით წიგნი, მათ შორის „აღმო-  
საველეთი ევროპა“ და „კავკასია“, რომელშიც  
ავტორი დიდ ადგილს უთმობს საქართველოს  
ისტორიას. რამოდენიმე თვის წინად ვამოვიდა  
მისი შრომა: „ოცნებთვან ვიდრე საქმემდე“,  
სადაც მოცემულია ნათელი დებულებები ევრო-  
პის იდეისათვის, ამ უმად იბეჭდება გერმანიაში  
კიდევ ორი მისი წიგნი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ისტო-  
რიის დარგში, პროფ. ალ. ნიკურაძე უდევდა სა-  
კითხებს ისტორიულ-ფილოსოფიური და ისტო-  
რიოგრაფიული თვალსაზრისით. კავკასიური  
ისტორიოგრაფია, იუ. ი. კავკასიის ისტორიის  
კონცეპცია, პირველად იქმნა ჩამოყალიბებული  
მის მიერ წიგნში: „კავკასია“.

კ. ს.

„ბედი ქართლისა“ თანაგრძობას უცხადებს  
ბ. ვ. ცხომელიძეს მისი მშობლების ტფილისში  
გარდაცვალების გამო.

### ტფილისის მიწა

მიწას მოუენდა ღრუბლების დაშლა.  
მზე ძირს ჩამოწვა ლაქქერად, ზევაად.  
დღემ ჰამლეტივით აილო დაშნა  
ღამის მარშრუტის მოსახაზავად.

მაგრამ თუ აზრი ვერ აჯავარდა,  
მიწავ, ეს გულში ამოთხარე:  
არ არის ქვეყნად, ტფილისის გარდა,  
სხვა უფრო მძაფრი და ნაზი მხარე.

თფილისის კენჭებს ფეხს რომ ვახვედრებ  
ბედნიერი ვარ, თამამი მამინ.  
გულში ვიხუტებ: პოეტებს, მხედრებს,  
რომ ბედთან უფრო ვივრძნო თამამი.

მიწამს სახელები: თამარ, რუსუდან,  
ლამა გიორგიმ ფრთა გადაამიწვა, —  
დამაცოხნინე რძე მაგ ძუძუდან,  
ოი, ტფილისის დედაო მიწავ.

მაგრამ არ მწყალობს ბედი ფიცხელი,  
მიწა გამსკდარი, ცა მონარუბლი,  
და პოეზიაც ისე მიცქერის,  
როგორც ილიას დაჭრილი შუბლი.

### † მარიამ მამულაიშვილის ხსოვნას

ჩუქსეთის რევოლუციის ქარიშხალმა ვით მო-  
წყვეტილი ფოთოლი პარიზში გადმომისრო-  
ლა.

ერთ მშვენიერ დღეს ჩემებრ ბედისაგან დევ-  
ნილ ახალგაზრდებთან ერთად ევსტუმრე პა-  
რიზის ახლო სასოში მცხოვრებ ბ-ნ ლევან მამულაიშვილს.

ეს იყო ჩემთვის, ბავშვობის შემდეგ, პირვე-  
ლი ქართული ოჯახის ნახვა.

აჩვიცი, ვინ ვის აწონებდა თავს და ედავე-  
ბოდა სიმშვენიერეში, ნორჩი, აღდგომის გაზა-  
ფხული, ნაზი მზის სხივებით და ამწვანებულ  
ბაღებით, თუ ბიძის ლევანის ოჯახის ვარდთა  
კონამისი მეუღლე და შვილები.

უკვე მოხუცებული ბიძია ლევანი მაცნობს  
თავის ხელით გაკეთებულს, ახლათ ამობიბინე-  
ბულ ბოსტნეულს. დაგნარი ყველაფერი: ბიძია  
ლევანს, მშვენიერ ქართველ მოხუცს, გაზაფ-  
ხულს, ბოსტანს, და სხვა გაზაფხული, სხვა ზო-  
სტანი და ბოსტანში სხვა სახეები მაგონდებიან.  
ჩემ და ნელ ტყვილებს ვგრძობ.

მიმინოს სისწრაფით დაჭროლავენ ერთ-მე-  
ორეზედ ულამაზესი ბიძია ლევანის შვილები—  
გაისმის დიასახლისის, ქ-ნ მარიამის დამამშვი-  
დებელი, წყნარი ხმა: „მობრძანდით“. აყვავე-  
ბული ატმის ქვეშ დიასახლისს გაუშლია მშვე-  
ნიერი ქართული სუფრა...

განვლეს უცხო მხარეში ბევრმა დუხჭირმა  
წლებმა. დიდი ხანი არ არის, რაც ბიძია ლევან-  
მა საუკუნოდ მიიძინა; ორი კვირის წინათ მო-  
ულოდნელად გამოგვეთხოვა მისი მეუღლე მარ-  
იამი. ესეც ერთ გაზაფხულის დღეს მოხდა,  
მაგრამ ეს გაზაფხული ის არ არის ქ-ნ მარიამი-  
სა და მისი ოჯახისათვის, რაც 25 წლის წინ,  
პარიზის ლამაზ მიდამოში იყო. ლილისფერი  
ბინდით შეიმოსა ტყე და მწარე სუნთქვამ გაახ-  
მო ამწვანებული ბაღები. ხეები ტანჯვით იყ-  
ლანკებიან, წალკოტი სიკვდილის დღედ გარ-  
დაიქმნა...

ეს სათანოიანი აღამიანი, ნამდვილი ქრისტი-  
ნი, რომლისათვის სხვისი უბედობა და ცრემლი  
მისი საკუთარი განცდა იყო, ეს იშვიათი მეუღ-  
ლე, დედა და მეგობარი ეხლა ბიძია ლევანთან  
არის.

საუკუნო იყოს ხსენება მათი.

**ჩას „აქლავს“ საქართველო რუსეთს**

**ბ. ვეგანი გეგეჰკორის იუბილე**

გერმანულ ენაზე გამოცემული წიგნი და ყუ-  
რნალები რუსეთის მეტურნეობის შესახებ გვა-  
ძლევს შემდეგ ცნობებს:

1. საქართველოს მწვანეულობის და ხილეუ-  
ლობის კონსერვებით საფუძვლი მთელი რუსეთის  
მალაზიები. წლიური რიცხვი საქართველოდან  
გატანილი კონსერვებისა უდრის — 33.230.000  
ცაღს.

2. 1939 წლის ცნობით ვენახი გაშენებული  
იყო საქართველოში: 48.300 ჰექტარი რომელ-  
მაც მოიტანა 210.000 ტონი ყვრძენი. აქედან:  
სხვა და სხვა I-ლი ხარისხის ღვინო—6.510.000  
ლიტრი; შამპანიური კი — 13.193.000 ლიტრი.

75% ღვინის მოსავლისა ვადის რუსეთის  
ბაზარზე.

3. ჩაის პლანტაცია უდრის 52.000 ჰექტარს,  
რომელსაც მოუტანია — 36.000.000 კგ. ჩაი.  
უკანასკნელ წლებში რუსეთს გააქვს პირველ  
ხარისხის ჩაი წლიურად 60.000 ტონი.

4. თამბაქო გაშენებულია 23.000 ჰექტარ-  
ზე, შემოსავალი — 14.158.000 კილო.

5. ციტრუსოვანი მტენარები: აჭარიდან —  
419,9 მილიონი ცაღი; აზხაზეთიდან — 179,9  
მილიონი ცაღი; ოზურგეთიდან — 63,3 მილი-  
ონ ცაღი. სულ — 660,1 მილიონ ცაღი.

**6. ჯანელიძე**

ჰამბურგი.

**კრავულის ფონდი**

**შემოსწირეს:** ქ-ნ ა. შანიძემ განსვენებული  
მოსე შანიძის ხსოვნისათვის — 25 დოლარი,  
მ. კ-მა — 50 დოლ., დიმიტრი გიორგობიანი —  
25.000 ფრ., ალექსანდრე კილურაძემ — 2.000  
ფრ., გიორგი გამყრელიძემ — 5 დოლ., სპარსე-  
თიდან ქ-ნ ქ. სასანაის საშუალებით — 5 დოლ.,  
მიხეილ ჩუბინიძემ — 1.000 ფრ., ვალვა გიორ-  
გაძემ — 1.000 ფრ. და ბელგიიდან — ირაკლი  
ოთხმეზურმა — 700 ფრ.

სულ **63.700 ფრ.**

„ბ. ქ.“ უღრმესს მადლობას უძღვნის შემომ-  
წირველთ და იმედოვნებს მომავალშიც არ და-  
ვიწყებენ მას.

საქართველოს ეროვნული მთავრობის ვარე-  
შე საქმეთა მინისტრს, **ბ. ვეგანი გეგეჰკორს** ამა-  
წლის 20 აპრილს შეუსრულდა 70 წელი.

„ბედი ქართლისა“ უსურვებს იუბილიარს  
კიდევ დიდი ხნის სიცოცხლეს საქართველოს  
საკეთილდღეოდ.

**ბიბლიოგრაფია**

მალე გამოვა გერმანულ ენაზედ ბ. გიორგი  
მალალაშვილის წიგნი **საქართველოს ისტორია**.

ავტორს განზრახვა აქვს ეს წიგნი ფრანგულ  
ენაზედაც გამოცეს.

პარიზის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულმა  
ჟურნალმა: **Revue d'Assyriologie, vol 12, 1951**  
დაამთავრა ბეჭდვა მიხეილ წერეთელის: „**La**  
**Stel de Sidican Topzaua**“

ეს ორ ენაზე: ურარტულზე და ასსურულზე  
დაწერილი ტექსტი აქამდე წაკითხული არ იყო.  
მიხ. წერეთლის მიერ ეს ტექსტი პირველად იყო  
წაკითხული, თარგმნილი და ახსნილი.

«Enciclopedia Cattolica»-ში დაბეჭდა მ. მიხ.  
თარხნიშვილის წერილი **წმ. ნინოზე**. მომავალ  
ტომში გამოქვეყნდება მოკლე წერილი პეტრე  
ქართველზე.

**ახალი ქართლის განმარტებითი ლექსიკონი**

საქართველოში დაუწყიათ ახალი ქართული  
განმარტებითი ლექსიკონის გამოცემა რვა დიდ  
ტომად. იტალიის აღმოსავლეთის ინსტიტუტმა  
მიიღო პირველი ორი ტომი 1950 - 1951 წ. პი-  
რველ ტომშია განმარტებული ა და ბ და მეოთ-  
ხეში გ. პირველი ტომი შეიცავს 12.000 სიტყვას  
და მეორე — 13.000. მთელში იქნება განმარტე-  
ბული 125.000 სიტყვა.

ახალ მწერალთა შორის მოხსენებულნი არი-  
ან მხოლოდ საბჭოთა რეჟიმის მიმდგომნი.

**რედაქტორი: კ. სალია**